# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 30 ნოემბერი, 2013 წელი.

№231 (7359)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ხელშეკრულება რას გვისაშველებს, თუ პროდუქცია არ გვექნა კარგი?

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება კი გვექნება, მაგრამ... ევროპაში რას გავიტანთ?

③

## „პარაფირებას, შესაძლოა, მორიგი ეკონომიკური ემბარგო მოჰყვეს“

## ძველი ჩინოვნიკები მუშაობას „ნაციონალური“ ინერციით აგრძელებენ

⑤

## მართლმსაჯულების ხარვეზების შესნავლა უვადოდ გადაიდო

④

## ფინანსისტებს ლარის კურსის პულსი ხელში უჭირავთ!

②

ვაი, სირცხვილო!

## საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებები იაპონიიდან გამოაქვეს

⑩

## რისკების „მეხამრიდი“ ახალი საგენტო

⑤

კვირაძალს საკითხავი

## თანამედროვე საგანმური

⑥ ⑦

## მონასტრის დედების „ბედნიერება“

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# ევროკავშირის მისიამ საქართველოს სტაბილურობის საქმეში ძალიან დიდი როლი შეასრულა

**ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ასოცირების ხელშეკრულების ვილნიუსში პარაფირების საზეიმო ცერემონიალზე განაცხადა.**

პრეზიდენტმა მიულოცა საქართველოს და ევროკავშირს ხელშეკრულების ხელმოწერა.

**— ხელშეკრულება აფუძნებს საქართველოს ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში მონაწილეობის ჩართვას. მიგვაჩნია, რომ საქართველო ევროკავშირთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანი მონაწილეა მსოფლიოში კრიზისის მართვის საკითხებში. ევროკავშირის მისიამ ძალიან დიდი როლი შეასრულა საქართველოს სტაბილურობის საქმეში, ამიტომ ჩვენ მნიშვნელონვად მიგვაჩნია ქვეყნის მშენებლობის პროცესში და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ევროკავშირთან ერთად მონაწილეობა. საქართველომ გაიღრმავა თავისი გამოცდილება 95 წლიდან მისიებთან თანამშრომლების გზით და ჩვენ მიგვაჩნია, რომ ევროკავშირის მისიებსა და ოპერაციებში მონაწილეობა საქართველოს დამატებით ღირებულებას შესძენს,** — აღნიშნა მარგველაშვილმა.

ვილნიუსში მიმდინარე აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ორმხრივი შეხვედრები გამართა. პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, სასტუმრო „კემპინსკში“ გიორგი მარგველაშვილი ევროპარლამენტის პრეზიდენტს მარტინ შულცს შეხვდა.

მხარეებმა შეხვედრაზე საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივები განიხილეს.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მარტინ შულცს არაღიარების პოლიტიკასა და ევროპარლამენტის მიერ საქართველოსათვის სხვადასხვა სფეროებში გაწეული თანადგომისა და დახმარებისათვის.

შეხვედრაზე აღინიშნა საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების მნიშვნელობა. მარტინ შულცმა დადებითად შეაფასა საქართველოს ხელისუფლების ევროპული არჩევანი და აღნიშნა, რომ ევროპარლამენტი მომავალშიც განაგრძობს საქართველოს მხარდაჭერას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს სამიტის მნიშვნელობაზე და ევროკავშირში საქართველოსა და მოლდოვას პერსპექტივებზე.

ვილნიუსში მიმდინარე აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ფრანსუა ოლანდსაც შეხვდა.

მხარეებმა განიხილეს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხების ფართო სპექტრი.

გიორგი მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა ფრანსუა ოლანდს საფრანგეთის მიერ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის, არაღიარების პოლიტიკასა და სხვა სფეროებში გაწეული თანადგომისა და დახმარებისათვის.

მარგველაშვილმა აღნიშნა ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც საფრანგეთმა შეასრულა 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოსადმი განხორციელებული სამხედრო აგრესიის პერიოდში.

## ◎ ძველი ნაყალბევი დოკუმენტი

# ვილნიუსის სამიტი და „რუსეთის გაფართოებისა და ევროპის დამონების პეტრე პირველისეული გეგმის“ მოკლე შინაარსი

**მარკუს ოსტერრიდერი მიუნხენელი ისტორიკოსია, აღმოსავლეთ ევროპის ისტორიას იკვლევს, დიდხანს მუშაობდა მიუნხენის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტში, დოქტორის ხარისხის მინიჭების შემდეგ თავისუფალი დოცენტია, პუბლიცისტი. ოსტერრიდერი ავტორია არაერთი მსხვილტანიანი მონოგრაფიის, ევროპის და საერთოდ ისტორიის სფეროში უამრავი სტატიისა. მისი ბოლო მსხვილი, ჯერ გამოუქვეყნებელი მონოგრაფიის ერთი ქვეთავი ეგრეთ წოდებულ „პეტრე დიდის ანდერძს“ ეძღვნება. ოსტერრიდერის აზრით:**

„საქართველო ყოველთვის ორი დიდი იმპერიის გამყოფ ზოლზე იმყოფებოდა და შეკითხვაც უჩნდებოდა, რომელ მხარეს ვეკუთვნი მე — ერთს თუ მეორეს, თუ რაღაც თავისთავადი ვარ? საქართველოსთვის ყოველთვის ძნელი იყო წონასწორობა შეენარჩუნებინა გავლენებს შორის და საკუთარი ინტერესებიც არ დავიწყებოდა“.

რაც შეეხება „ანდერძს“. „ამბივალენტურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ერთი მხრივ, ის ყალბია. უფრო სწორად, რას ნიშნავს ყალბი?! ამ დოკუმენტებს აქვს პოლიტიკური მიზანი, პროპაგანდისთვისაა შექმნილი. მეორე მხრივ, მეფის პერიოდის რუსეთის, საბჭოთა კავშირის და, ასევე, შეიძლება ითქვას, დღევანდელი რუსეთის საგარეო პოლიტიკა ისე მოქმედებს, როგორც ამ „ანდერძში“ წერია — ის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულებაა. ასე რომ, უცნაურად ამბივალენტური ხასიათის ტექსტებთან გვაქვს საქმე. ერთი მხრივ, პროპაგანდისტული ფალსიფიკაციაა, მეორე მხრივ, პოლიტიკა ამ დოკუმენტის მიხედვით წარიმართება“, გვეუბნება მარკუს ოსტერრიდერი, რომელიც „ანდერძის“ წარმოშობის ერთ ვერსიას გვაცნობს:

„ანდერძს“ მოიხმობდნენ ნაპოლეონის დროს, რუსეთის წინააღმდეგ მისი ლაშქრობის გასამართლებლად. ნაპოლეონის ომების შედეგი რუსეთის გაფართოება იყო. იგივე მოხდა ჰიტლერის დროს. ნაცისტებმა ასევე მოიხმეს „პეტრე დიდის ანდერძი“...

„ენტონი კროსი, ბრიტანელი ისტორიკოსი, 2001 წელს გამოცემულ წიგნში „პეტრე დიდი — ბრიტანული თვალით დანახული“, წერს, რომ მან მიაკვლია პეტრე დიდის პერიოდის ცნობას, როცა ის ჰააგაში იყო: პეტრეს ინგლისელებმა მიაწოდეს საიდუმლო, შუასაუკუნებრივი დოკუმენტები, რომელთა მიხედვით, პეტრეს გაუჩნდა იდეა, რუსეთი გაფართოებულიყო არა შვედეთის მიმართულებით, არამედ სამხრეთით, ბოსფორისკენ, არა ბალტიის ზღვის, არამედ, ბალკანეთისა და შავი ზღვის მიმართულებით. ეს იდეა პეტრეს ინგლისელებმა მიაწოდეს ჰააგაში“.

თუ ჩვენს ხელთ არსებულ გერმანულ ვერსიას დაეჯერება, ამ ანდერძის მერვე პუნქტში ცხადად წერია: რუსეთი წინ უნდა წავიდეს, თავისი ძალაუფლება ბალტიისა და შავ ზღვებზე გაავრცელოს. და შემდგომ, რუსეთმა თავისი საზღვრები რაც შეიძლება უნდა გააფართოოს ინდოეთისა და კონსტანტინოპოლისკენ. დღეს ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროკავშირისა და ნატოს წევრები არიან. ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შესახებ ხელშეკრულება დე ფაქტო ხელმოწერილია. რას ესწრაფვის რუსეთი, როცა საქართველოს მსგავს ქვეყნებზე ზეწოლას ახორციელებს — იმას, რომ პეტრე დიდის ანდერძის შესრულება შეყოვნდა და სურს უკან დაიბრუნოს ძველი გავლენის სფერო? მიუნხენელი ისტორიკოსი ამბობს, რომ „პეტრე დიდის ანდერძი“ ჯოჯოხეთური ტექსტია, რომელიც თან ყალბია, ყველამ იცის, და, ამასთან, ხშირად მოიხმობენ. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ის დღეს აც აქტუალურია:

„ანდერძს“ მოიხმობდნენ ნაპოლეონის დროს, რუსეთის წინააღმდეგ მისი ლაშქრობის გასამართლებლად. ნაპოლეონის ომების შედეგი რუსეთის გაფართოება იყო. იგივე მოხდა ჰიტლერის დროს. ნაცისტებმა ასევე მოიხმეს „პეტრე დიდის ანდერძი“, რათა ეჩვენებინათ, რომ საბჭოთა კავშირისგან დასავლური სამყაროს დაცვა იყო საჭირო. შედეგი რუსეთის გაფართოება იყო. შემდეგ, ცივი ომის პერიოდში, 1947 წელს აჩვენეს ჰარი ტრუმენს, რომელიც თვლიდა, რომ სტალინმა იგივე გააკეთა, რაც „ანდერძში“ წერია. დღესაც ასევეა, ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს ჯონ ლიდონი, ამერიკელი ისტორიკოსი, რომელმაც 2004 წელს დაწერა წიგნი - „რუსეთის იმპერიის დიადი სტრატეგია“. ჯონ ლიდონი, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტში რუსეთისა და ევრაზიის კვლევის დევისის ცენტრში მუშაობს, წერს, რომ პუტინი ახლა ასევე „მოიხმარს“ - უფრო სწორად, ისე ჩანს, თითქოს მოიხმარს — ამ ანდერძს, რომელიც, ყველამ იცის, რომ დოკუმენტურად არ არსებობს და დაიბეჭდა როგორც პროპაგანდის მასალა“.

**ოქროპირ რუხაძე**

## ◎ SIC!

# ფინანსისტებს ლარის კურსის პულსი ხელში უჭირავთ!

### კურსის ვარდნის გამო ბაზარზე ფასები უმნიშვნელოდ შეიცვალა

**ეროვნული ვალუტის დაღმასვლა მოსახლეობას მოსვენების საშუალებას არ აძლევს და ახალ საფიქრალს უჩენს. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში ყოველდღიურად მინიმუმ 10 პუნქტით ეცემა. ჯერჯერობით ბოლო ნიშნული 1.6878-ია და ეს ბოლო 3.5 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. თუმცა არსებობს უკვე საფუძვლიანი ეჭვი, რომ მალე 1,7-იან ზღვარს გადააბიჯებს.**

ეროვნული ვალუტის კურსმა 1.68 ნიშნულს 2011 წლის ივლისის შემდეგ პირველად ოთხი დღის წინ „გადააბიჯა“ და მას შემდეგ მცოცავ რეჟიმში სულ მაღლა მიიწევს.

ლარმა შეუმჩნევლად გაუფასურება ნოემბრის დასაწყისში დაიწყო. 7 ნოემბერს მისმა ღირებულებამ ორწლიანი რეკორდი მოხსნა და 1.6792 ნიშნულს მიაღწია, თუმცა, მედიაში დაწყებული ფართო განხილვების შემდეგ კვლავ გამყარდა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ლარის გაუფასურება ბიუჯეტის „გადასარჩენად“ ხორციელდება, მეორე ნაწილის აზრით, ძველ ხელისუფლებას კურსი ხელოვნურად ეჭირა, დღეს კი ეროვნული ვალუტა ამ კონტროლისგან თავისუფალია.

ფინანსური ბაზრის ექსპერტებს ლარის კურსის ვარდნასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები აქვთ. „ადმირალ მარკეტს ჯორჯიას“ ხელმძღვანელის დავით წიქარიძის თქმით, ლარის კურსი პირდაპირ დამოკიდებულებაშია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობასთან. სადამდე შეიძლება მოხდეს ლარის გაუფასურება, მას განსაზღვრა უჭირს და ამბობს, რომ ამ პროცესში თავისი სიტყვა მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა უნდა თქვან.

„პირველი საკრედიტო კავშირის“ ხელმძღვანელი გივი კორინთელი კი ლარის კურსის დაწევას საგანგაშოდ არ თვლის და ამბობს, რომ მსგავსი რყევები ეკონომიკის სიჯანსაღეზე მიუთითებს. მისივე აზრით, ეროვნული ბანკის ინტერვენციების შედეგად ლარის კურსის მკვეთრი ვარდნის საფრთხე არ არსებობს.

ლარის სტაბილურობასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ ბანკში პრესკონფერენციაც კი გაიმართა. სებ-ის ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსურ სტაბილურობას არც მოკლევადიან და არც გრძელვადიან პერიოდში საფრთხე არ ემუქრება. რის შემდეგაც სებმა გასაყიდად 20 მლნ აშშ დოლარი გამოიტანა.

„ლარის კურსის მერყეობა ჩვეულებრივი მოვლენაა და ამით ბაზარზე განსაკუთრებული არაფერი ხდება. მოსაზრებაც კურსის ხელოვნურ შენარჩუნებაზე კატეგორიულად გამოირიცხება, ეს ტექნიკურად გამორიცხულია“, — განაცხადა მესტვირიშვილმა.

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური კი, თავის მხრივ აცხადებს, რომ სამინისტროს ლარის კურსის პულსი უჭირავს და ეროვნული ვალუტა არ გაუფასურდება. საგულისხმოა, რომ 2013 წლის ბიუჯეტი 1 აშშ დოლართან მიმართებაში ლარის 1,70 ნიშნულზეა დათვლილი.

სანამ ექსპერტები და სახელმწიფო მოხელეები აზრებს აფრქვევენ, ამასობაში კურსის დაცემის გამოისობით იმპორტირებულმა პროდუქციამ გაძვირება დაიწყო. პირველ რიგში, ეს ეხება მედიკამენტებს, რომლის საცალო ღირებულებასაც კი დოლარის კურსით ანგარიშობენ. თუკი ეროვნული ვალუტის ვარდნა არ შეჩერდა, სამომავლოდ გაძვირებას დაიწყებს პირველადი მომხმარების საქონელიც და ეს ზამთრის პერიოდში (როდესაც ოჯახის ხარჯი ისედაც გაზრდილია) სოციალურად შეჭირვებული ფენისთვის საკმაო დარტყმა იქნება.

**ეკა ბაძრაძე**

## ◎ ინფორმაცია

### ანგელა მერკელმა ვიქტორ იანუკოვიჩს ხელი არ ჩამოართვა

**ვილნიუსში, საქართველოსთან და მოლდოვასთან ასოცირების შეთანხმების პარაფირების და აზერბაიჯანთან სავიზო რეჟიმის შემსუბუქების ხელმოწერის ცერემონიაზე, უკრაინის პრეზიდენტს ვიქტორ იანუკოვიჩს ანგელა მერკელმა ხელი არ ჩამოართვა. ამის შესახებ რუსული სააგენტო იუწყება.**

**გავრცელებული ინფორმაციით, ხელმოწერის საზეიმო ცერემონიაზე უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ბელორუსის წარმომადგენლის გვერდით იჯდა და თვითმხილველთა ცნობით, გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა მას ხელი საგანგებოდ არ ჩამოართვა.**

**სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოსა და მოლდოვასგან განსხვავებით, უკრაინამ ევროკავშირთან ხელი არაფერს მოაწერა.**

**ამასთან, უკრაინის პრეზიდენტი ხუთშაბათს გვიან საღამოს არაოფიციალურ მიღებაზე ანგელა მერკელსა და ლატვიის პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტეს შეხვდა.**

### მომავალი წლის ბიუჯეტი 9 მილიარდ 14 000 000 ლარი იქნება

**განაცხადა მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.**

**მისივე განმარტებით, ბიუჯეტის პროექტი მთავრობამ დღევანდელ სხდომაზე დაამტკიცა და ის პარლამენტს დღესვე გადაეგზავნება.**

**— ბიუჯეტი გათვლილია მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-იან ზრდასა და 3,5%-იან დეფლატორზე. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი იქნება 29 342 000 000 ლარი. ამასთან, საერთო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები დაგეგმილია 7 230 000 000 ლარის ოდენობით. ბიუჯეტის დეფიციტი კი 3,9% იქნება. ერთი სიტყვით, მომავალ წელს ბიუჯეტი მთლიანად 9 მილიარდ 14 000 000 ლარს დახარჯავს, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.**

**მისივე განმარტებით, იზრდება ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი, ასევე განათლების და მეცნიერების სფეროს დაფინანსება.**

**ინტერპრესი**

◎ პარაფირება

# ხელშეკრულება რას გვისაშველებს, თუ პროდუქცია არ გვექნა კარგი?

**„ნაბიჯი, რომელიც რეალურად გვაახლოებს ევროპასთან“, – ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დოკუმენტის პარაფირების ფაქტი.**

**„მოსახლეობას, მთელ ჩვენს ქვეყანას ვულოცავ ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ნაბიჯს. ჩვენ ვაგრძელებთ შეხვედრებს ეკონომიკურ თემებზე, შეხვედრებს ადამიანის უფლებებისა და არასამთავრობო სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თემებზე. ჩვენ დღეს ვიწყებთ უაღრესად მნიშვნელოვან გზას, რომელიც საქართველოს ისტორიულ არჩევანს, იყოს ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახის წევრი, ფაქტობრივად გარანტირებულს ხდის“,** – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება ითვალისწინებს პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ პოლიტიკურ ინტეგრაციას. გარდა ამისა, მოხდება შეთანხმება კონკრეტულ დოკუმენტებზე – 29 ნოემბერს ხელი მოეწერება ევროკავშირის სამოქალაქო მისიებსა და სამხედრო ოპერაციებში საქართველოს ჩართვის თაობაზე ჩარჩო ხელშეკრულებას. საავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესრულების კუთხით მოხდება საქართველოს შეფასება, სამიტზე დაფიქსირდება ევროკავშირთან სხვა პრიორიტეტულ სფეროში, განსაკუთრებით ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და განათლების სფეროებში დაახლოების კუთხით მიღწეული პროგრესი.

სამიტზე ასევე შემუშავდება ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც, მიღწეული პროგრესის შეფასებასთან ერთად, განსაზღვრავს ევროკავშირთან თანამშრომლობის განვითარების სამომავლო პრიორიტეტებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას და საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს შექმნის.

ასოცირების საკითხზე ევროკავშირთან მოლაპარაკებები 2010 წლის ივნისში დაიწყო, ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის კომპონენტზე – 2011 წლის დეკემბერში.

რეალურად რას მოუტანს ქვეყანას ამ დოკუმენტის პარაფირება, შემდეგ კი ხელმოწერა, როდის და როგორ აისახება იგი საქართველოზე, როგორც ქვეყანაზე და რა სიკეთეებს იგრძნობენ საკუთარ თავზე რიგითი მოქალაქეები, ექსპერტების შეფასებით, ეს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

ექსპერტი **კოტე ჟღენტი** თვლის, რომ დოკუმენტის პარაფირების ეტაპზე საქართველო არაფერს მიიღებს. შემდეგ, უკვე, როდესაც დოკუმენტებს, რომლებიც ხელშეკრულებას ახლავს – ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ურთიერთობისა და სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებით ხელი მოეწერება, შედეგების ხილვის შესაძლებლობა გაჩნდება.

**„ამ მიმართულებით, შესაძლოა, ნაბიჯები გადაიდგას მანამდე, ანუ დაჩქარდეს პროცესი, ვიდრე ხელი მოეწერება ასოცირების შეთანხმებას“,** – მიიჩნევს კოტე ჟღენტი.

ექსპერტი **არჩილ გამზარდია** თვლის, რომ, როგორც წესი, ნებისმიერი სამიტის დროს ჩვენი განცდები და მოლოდინები ან ნეგატიური განწყობები ცოტა გადაჭარბებულია ხოლმე. მისივე შეფასებით, პიარის შედეგად ისე გამოჩნდა, რომ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება რაღაც გრანდიოზული დოკუმენტია. გამზარდია თვლის, რომ მას, რა თქმა უნდა, თავისი დადებითი მახასიათებლები აქვს, მაგრამ ნაკლებად კეთდება აქცენტები იმ ვალდებულებებზე, რომელთაც სანაცვლოდ საქართველო იღებს.

**„ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, გაგვეთვალისწინებინა, რომ ნებისმიერი შესაძლებლობა, რომელსაც ქვეყანა იღებს ამა თუ იმ დოკუმენტიდან, მთელ რიგ ვალდებულებებთან არის დაკავშირებული და ჩვენს შემთხვევაში, ეს ვალდებულებები ცოტა გაურკვევლად არის ჩამოყალიბებული. არ ვამბობ, რომ ეს ფაქტი ნეგატიურად შესაფასებელია, ბუნებრივია, იმ არჩევანის ფარგლებში, რაც ჩვენ გაგვაჩნია საგარეო ორიენტირებთან დაკავშირებით, დადებითი მოვლენაა, თუმცა, საზოგადოება როგორც უკვე ვთქვი, ნაკლებად ინფორმირებულია, რაში რა ფასს ვიხდით“,** – აცხადებს არჩილ გამზარდია.

**კოტე ჟღენტი: „რაც შეეხება ვალდებულებებს, არის რაღაც მუხლები, რომელიც უფრო ადვილად შესასრულებელია, რაც შეეხება, მაგალითად, ევროკავშირის კანონმდებლობასთან თანხვედრას, არის მუხლები, რომელსაც უფრო მეტი დრო სჭირდება, მაგრამ ვიმეორებ, თუ სახელმწიფოს და ახლანდელი ხელისუფლების ნება იქნება და, როგორც ვხედავ ასეთი ნება არის, შესაძლებელია, ეს პროცესი დამთავრდეს გაცილებით ადრე, ვიდრე ზოგს წარმოუდგენია“.**

**თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება კი გვექნება, მაგრამ... ევროპაში რას გავიტანთ?**

ექსპერტ **დემურ გიორხელიძის** მოსაზრებით, იმისათვის, რომ ჭეშმარიტი ევროპული ინტეგრაცია მოხდეს, ჩვენ გვჭირდება საკუთარი სახელმწიფოს დასავლურ მოდელზე მოწყობა კონსტიტუციის, ხელისუფლების გაყოფა-დანაწილების მექანიზმის მეშვეობით, მმართველობის კულტურით, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობით.

**დემურ გიორხელიძე: „თავისთავად ხელშეკრულების ხელმოწერა არაფერს არ იძლევა, ხელისუფლებამ საშინაო პოლიტიკა თუ არ განავითარა, კერძო სექტორი თუ არ განვითარდა და სერიოზული პროდუქცია არ აწარმოა ქვეყანამ.**

**გგონიათ, რომ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ხელმოწერა ევროპასთან ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას, გავიტანოთ ის „ნაგავი“, რომელსაც უმეტესწილად პრიმიტიულ დონეზე აწარმოებს ქართული ეკონომიკა? ვინ იყიდის ამას – ვის რაში სჭირდება?!**

**როდესაც ამ თემაზე ვლაპარაკობთ, არ ვუკვირდებით, რომ წლებია, ევროპელებმა ჩვენ პრეფერენციების სისტემა მოგვანიჭეს და 7 ათასი სახეობის საქონლის გატანა შეგვიძლია თავისუფლად ევროპაში – ვისარგებლეთ ამით? გავაკეთეთ რამე? მოვუარეთ ჩვენს ქვეყანას? – არიქა, შელავათები მოგვცა ევროპამო და დავიძარით ევროპისკენ? არ გაგვიკეთებია არაფერი! ჩვენ გვინდა ბევრი ლაპარაკი არაფრის კეთების სანაცვლოდ და ეს პიარკამპანია დასრულდება იმით, რომ ჩვენ ისევ რთული ეკონომიკა გვექნება. ევროპასთან გვექნება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, მაგრამ ვერაფერს ვერ გავიტანთ იქ, იმიტომ, რომ არაფერი გვექნება გასატანი. სოფლის მეურნეობის პროდუქცია არ გვივარგა, ჯერჯერობით, არ გვაქვს გადამმუშავებელი მრეწველობა, არადა, შესანიშნავად შეიძლება გაკეთება“.**

დემურ გიორხელიძე თვლის, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, ჩვენი ქვეყნის განვითარებას. თუ ამას ქვეყნის განვითარების პოლიტიკაში არ ჩავდებთ, თავისთავად ხელშეკრულება არაფრისმომცემი არ არის.

**„ეს ნაცარქექიას მოლოდინია, რომ არაფერი აკეთო და რაღაც ხელშეკრულებებს მოაწერო ხელი – ისიც სათუოა, თუ მოეწერა, იმიტომ, რომ თუ აკვირდებით, სიტუაცია იცვლება. გგონიათ, აზერბაიჯანის ხელისუფლება საკუთარ ქვეყანაზე იმაზე ნაკლებად ფიქრობს, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება? ან უკრაინაა ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგე? – არა, ისინი უფრთხილდებიან საკუთარ ქვეყანას. ჩვენ არ ვუფრთხილდებით, ჩვენ რუსებს ჩვენი ტერიტორიის 20%-ის დაკავების საშუალება მივეცით და ახლაც ისეთ ლოზუნგებს ვისვრით, ხვალ და ზეგ რით დასრულდება არ ვიცით“,** – აცხადებს გიორხელიძე.

უფრო კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობა მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც დოკუმენტი საჯარო გახდება.

ცნობილია, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებული ტექსტი მომავალ კვირაში გამოქვეყნდება. საინტერესო დეტალი – ევროკავშირის წესებით, დოკუმენტი ძალაში შესვლამდე საიდუმლოა, მაგრამ საქართველო-ევროკავშირი ამ შემთხვევაში გამონაკლისის დაშვებაზე შეთანხმდნენ.

ასოცირების შეთანხმების ტექნიკური პარაფირება უკვე დასრულდა. 1000-გვერდიან დოკუმენტს ხელი საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ მიხეილ ჯანელიძემ ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროში მოაწერეს.

**დოკუმენტი ძალაში შევა 2014 წლის სექტემბრიდან.**

**მარიამ თოდაძე**

◎ ცხვარი შიშით ვის გაუწყვეტია!..

# „პარაფირებას, შესაძლოა, მორიგი ეკონომიკური ემბარგო მოჰყვეს“

**„ვილნიუსიდან რიგამდე დარჩენილია მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც 2014 წელს, საქართველოს წარმატებით დასრულდება“, – ამ შეფასებით ეხმაურებიან საქართველოს პარლამენტში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას.**

**ლატვიის დედაქალაქში მიმდინარე პროცესებს, ქართველი დეპუტატები ისტორიულ დღეს უწოდებენ და ამბობენ, რომ საქართველოს ადგილი ევროკავშირშია.**

**1000-გვერდიანი დოკუმენტის ტექსტი საჯარო მომავალ კვირაში გახდება, თუმცა, ქართველი კანონმდებლები უკვე იმ დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბრობენ, რაც, სავარაუდოდ, პარაფირებას მოჰყვება.**

კერძოდ, როგორც უმრავლესობა, ასევე უმცირესობა აცხადებს, რომ ევროკავშირთან დაახლოება ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური განვითარების წინაპირობაა, მაგრამ დეპუტატები ამბობენ, რომ შესაძლოა, ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას რუსეთის მხრიდან, მორიგი ეკონომიკური ემბარგოს დაწესებულება მოჰყვეს.

როგორც for.ge-ს ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განუცხადა, დღევანდელი დღე მნიშვნელოვანი თარიღი და მოვლენაა, რადგან ევროკავშირი გარანტიაა ქვეყნის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური წინსვლის.

მისი თქმით, 2014 წლის შემოდგომამდე, საქართველოს იმ ვალდებულებების შესრულება მოუწევს, რაც ევროკავშირის წინაშე აიღო.

**„ხელმოწერამდე ბევრი ამოცანა გვაქვს შესასრულებელი. ამასთან, ის საფრთხეები გვაქვს გააზრებული, რაც შეიძლება, რუსეთის მხრიდან, პარაფირებას მოჰყვეს. თუ რაიმე დაბრკოლება შეგვხვდება, მთავრობა ქვეყანას სწორი ნაბიჯებით წაიყვანს. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა დაბრკოლებას გადავლახავთ, რადგან ამის უნარი პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტსა და ქართველ ხალხს აქვთ. საუკუნის პროცესი წინ წასულია და დღევანდელი დღე ისტორიულია. ვილნიუსიდან რიგამდე დარჩენილია მნიშვნელოვანი ეტაპი და დარწმუნებული ვარ, დოკუმენტის ხელმოწერა რიგაშიც მოხდება“,** – აღნიშნავს კობახიძე, რომლის მსგავსადაც, რუსულ საფრთხეებზე საუბრობენ როგორც დავით ბერძენიშვილი, ისე ვახტანგ ხმალაძე.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის შეფასებით, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის მხრიდან მორიგი ეკონომიკური ემბარგო დაწესდეს.

დეპუტატის თქმით, რუსეთი, ზოგჯერ, ამა თუ იმ სახელმწიფოს შემზღუდავ სანქციებს იმისთვის უწესებს, რომ სახელმწიფომ მისთვის არასასურველი ნაბიჯი არ გადადგას.

იხ. 4 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

## მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა არ უნდა გადაიდოს

**საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის საკითხის გადადებას დაუშვებლად მიიჩნევს. როგორც უჩა ნანუაშვილმა თემის კომენტირებისას განაცხადა, მას ესმის, რომ კომისიის შექმნას ძალიან ბევრი სირთულე აქვს და არსებობს სერიოზული რისკები, თუმცა, ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა შესთავაზოს საზოგადოებას და, პირველ რიგში, უკანონობის მსხვერპლ ათასობით ადამიანს, რაღაც მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მათი განაჩენების გადახედვა მოხდება.**

**– ჩვენ ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ რაღაც ფორმით ეს კომისია შეიქმნას, ამუშავდეს. იქ შეიძლება იყოს ბევრი განსხვავებული აზრი, მაგრამ ზოგადად ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს. ამის გაჩერება, ჩემი აზრით, დაუშვებელია, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.**

**ინტერპრესი**

# „პარაფირებას, შესაძლოა, მორიგი ეკონომიკური ემბარგო მოჰყვეს“

(მესამე გვერდიდან) **„ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება ვალდებულებას აკისრებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ევროკავშირსაც, რომ, ერთი მხრივ, ამ ხელმოწერით აღიარებულ იქნას საქართველოს გადაწყვეტილება ევროკავშირთან ინტეგრაციის თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, არის ევროკავშირის გადაწყვეტილება, რომ ეს ინტეგრირება მიიღოს. ვალდებულებებს, რაც უფრო დროულად შევასრულებთ, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტი მით უფრო სწრაფად დადგება. ეს კი მრავალი ეკონომიკური ხასიათის სიკეთეს მოუტანს ქვეყანას, როგორც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების კუთხით, ასევე გამარტივებული სავიზო რეჟიმის თვალსაზრისით“,** — აცხადებს ვახტანგ ხმალაძე.

თანაგუნდელების მსგავსად, ვილნიუსში განვითარებულ პროცესებს პოზიტიურად აფასებს დავით ბერძენიშვილი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას, რუსულ საფრთხეებზე ამახვილებს.

**„ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია?! საქართველოს სხვა ალტერნატივა არა აქვს, რადგან ჩვენი ქვეყანა ევროპულია. მართალი გითხრათ, ევროკავშირი გაცილებით ძლიერი მხარდაჭერი ფაქტორია, ვიდრე რუსეთია ხელშემშლელი ფაქტორი. ევროპა საკუთარ პროექტს გადაარჩენს. ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ევროკავშირის წევრობა არ არის, მაგრამ იმდენად ახლოს არის ევროკავშირთან, რომ ეს ნიშნავს ევროპაში დაბრუნებას, რაც ილია ჭავჭავაძის არჩევანი იყო. ევროპა, ძალიან მალე, 2014 წელს, სამეზობლო პოლიტიკის მინიმუმ ქვეყნებს მის უშუალო შემადგენლობაში იხილავს“,** — განუცხადა for.ge-ს ბერძენიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ მმართველი გუნდის ლიდერების მსგავსად, ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას პოზიტიურად აფასებენ ნაციონალები, მაგრამ, ამავდროულად, ოპოზიციონერები ხელისუფლებას მოუწოდებენ ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს.

დავით დარჩიაშვილი ვარაუდობს, რომ 2014 წლამდე, სანამ დოკუმენტზე ხელმოწერა მოხდება და ხელშეკრულება ძალაში შევა, რთული პერიოდი იქნება.

**„ეს პერიოდი, ძალიან რთული იქნება, რადგან რუსეთი ცივილიზებულ სამყაროსთან პოსტსაბჭოთა სივრცის ურთიერთობებს ეწინააღმდეგება. ის, რაც უკრაინაში ხდება, ძალიან ნიშანდობლივია. საქართველოს გამოწვევები ექნება და ამას თავს ხელისუფლება როგორ გაართმევს, ეს მნიშვნელოვანია, რადგან ის, რომ პარაფირება მოხდა, გარკვეულწილად წლების ნამუშევარია. თუ ხელისუფლება გამოწვევებს თავს გაართმევს, მათ გვერდში დავუდგებით“,** — განუცხადა for.ge-ს დარჩიაშვილმა, რომლის პათოსსაც თიკა ბოკუჩავაც იზიარებს.

დეპუტატი ამბობს, რომ რუსეთის ქმედებებს ხელისუფლებამ რეალურად უნდა შეხედოს.

**„სასიხარულო დღეა, რომ პარაფირება მოხდა, მაგრამ ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არის სიმბოლური აქტი და ის სარგებელი, რაც საქართველოს მოსახლეობამ უნდა მიიღოს, ვალდებულებების შესრულების გარეშე ვერ მივიღებთ. პოლიტიკური დევნა არ უნდა იყოს, რაზეც ევროპელი ლიდერები საუბრობენ, რადგან ეს ხელს შეუშლის ინტეგრირებას. გარე გამოწვევებს უნდა ველოდოთ, როგორც ეს მოლდოვასა და უკრაინის შემთხვევაში მოხდა“,** — აღნიშნავს ბოკუჩავა.

**თეონა მანაგაძე**

◎ ვინ როგორ ფიქრობს?

# მართლმსაჯულების ხარვეზების შესწავლა უვადოდ გადაიდო

**28 ნოემბერს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა დაადასტურა ბოლო კვირებში მოარული ხმები იმის თაობაზე, რომ გაურკვეველი ვადით შეჩერდა „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის“ შექმნა. უფლებადამცველების ერთი ნაწილისთვის მეტად შემაშფოთებელია იმ კანონპროექტის გვერდზე გადადება, რომლის დამტკიცებასაც საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი ელოდებოდა. ვინ და რატომ დარჩა გაწბილებული?**

არავინ ეწინააღმდეგება, მაგრამ არ შეიქმნება - დაახლოებით ამ შინაარსისაა იუსტიციის მინისტრის კომენტარი მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის თაობაზე. როგორც თეა წულუკიანმა უთხრა ჟურნალისტებს, კანონპროექტთან დაკავშირებული ერთადერთი შემაფერხებელი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკას უკავშირდება: **„მთავრობის წევრებმა მიიჩნიეს, რომ, მართალია, მართლმსაჯულების ხარვეზების კომისიის შექმნას არავინ ეწინააღმდეგება, მაგრამ, თუკი ადამიანი გამართლებულად იქნება მიჩნეული, მას უჩნდება, რა თქმა უნდა, უკვე მატერიალური მოთხოვნის დაყენების უფლება სამოქალაქო წესით სასამართლოებში და ამისთვის დღეს ჩვენი ქვეყნის ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობა მზად არ არის. ამ ერთადერთი მიზეზის გამო ჩაითვალა, რომ ეს ამ ეტაპზე ნაადრევია“.**

თუ რა ვადით გადაიდო კომისიის შექმნა, თეა წულუკიანს არ დაუკონკრეტებია, მაგრამ თუკი კომენტარის შინაარსით ვიმსჯელებთ, პროცესი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებამდე, ანუ არც ისე მცირე დროით გადაიდო. შესაბამისად, გაურკვეველ დრომდე მოუწევს დაცდა იმ ათასობით ადამიანს, ვინც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალ ხელისუფლებას მიმართა საჩივრით, რადგან თვლის, რომ 2004-2012 წლებში უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად ცნეს სისხლის სამართლის დამნაშავედ. სწორედ ამ კატეგორიის ადამიანების სიმართლის დადგენის მიზნით შეიქმნა კანონპროექტი, რომლის ინიცირებითაც ახალმა ხელისუფლებამ ძალიან ბევრი პატიმრისა თუ ყოფილი პატიმრის გული მოიგო. კანონპროექტის პრეამბულაში ვკითხულობთ, რომ ეს ინიციატივა საჭირო იყო — **„ვინაიდან ასეთ პირთა მიმართ გამოტანილი განაჩენების დიდი უმრავლესობა კანონიერ ძალაშია შესული და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არ არსებობს მათი გასაჩივრების კანონიერი მექანიზმი“. ასევე ნათქვამია, რომ 9-წევრიანი კომისია თავდაპირველად 3 წლის ვადით შეიქმნებოდა, უფლებამოსილების გახანგრძლივების პერსპექტივით. კანონპროპექტის ბოლო ვარიანტის პრეამბულის თანახმად, მხედველობაშია მიღებული ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის დასკვნაც. მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნისა და ამოქმედების გადავადებას „ხალხის მოტყუებას“ უწოდებს ნანა კაკაბაძე — ხელმძღვანელი არასამთავრობო ორგანიზაციისა „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“. როგორც მან უთხრა რადიო თავისუფლებას, ხელისუფლებამ არაფრად ჩააგდო სამართლიანობის აღდგენის ძლიერი სურვილი, რაც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის აწ უკვე გაურკვეველი დროით გადავადებულ კანონპროექტს უკავშირდებოდა: „რა უნდა გადაიდოს?! ღირსების აღდგენა როგორ უნდა გადაიდოს სამომავლოდ?! ხელისუფლებას უფლება აქვს, რომ მის წინააღმდეგ თუკი ვინმეს რამე აქვს დაშავებული, იმას აპატიოს... მაგრამ ქართველ ხალხს და მთლიანად მოსახლეობას ღირსება რომ აყარეს, შიშით რომ აცხოვრეს 9 წელიწადი და უსახლკაროდ რომ დატოვეს ეს ხალხი, ვის მაგივრად პატიობს ეს ხელისუფლება, საინტერესოა?! ამას მისცა ხალხმა ხმა 1 ოქტომბერს?!“**

ადამიანები, რომლებიც მოუთმენლად ელოდებოდნენ მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნას, უფლებადამცველებს საპატიმროებშიც ეგულებათ. ეს ის კატეგორიაა, რომელიც თავს დამნაშავედ არ თვლის, მაგრამ სიმართლის დადგენა ვერა და ვერ შეძლო, ხოლო, მაგალითად, საყოველთაო ამნისტიამ მათი სასჯელი მხოლოდ შეამცირა.

დიდწილად სწორედ ამ კატეგორიის ადამიანებისთვის გასაჩივრების დამატებითი მექანიზმის შექმნას აუცილებლად მიიჩნევს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“. ანუ შეიქმნებოდა კომისია თუ ეს სხვაგვარად მოხდებოდა, როგორც რადიო თავისუფლებას უთხრა საიას ხელმძღვანელმა კახა კოჟორიძემ, აუცილებელად მოსაგვარებლია ის, რაც, კანონპროექტის თანახმად, მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას უნდა მოეგვარებინა: „ბევრი ადამიანი ამბობდა იმას, რომ უკანონო განაჩენით იქნა პასუხისგებაში მიცემული და არ საბუთდებოდა მათ მიერ დანაშაულის ჩადენა... და ამას, პატიმრების გარდა, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ამბობდნენ — როგორც არჩევნებამდე, ასევე არჩევნების შემდეგაც. და ის არგუმენტი, რომ დღეს თანხა არ გვაქვს და ამას ვერ გავაკეთებთ, აბსოლუტურად არარელევანტურია. ბევრი ადამიანი შეიძლება დღესაც ციხეში ზის იმის გამო, რომ მან ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით. ასეთებისთვის თანხაზე უფრო მნიშვნელოვანია თავისუფლება“. საია მიიჩნევს, რომ, თუკი ეკონომიკური პრობლემების გამო ფერხდება, უმჯობესი იქნებოდა, სახელმწიფოს არა გასაჩივრების მექანიზმის ამოქმედება, არამედ საკომპენსაციო თანხების გაცემა გადაევადებინა.

**ლელა კუნჭულია**

◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● **ამ პარაფირების შემდეგ ევროპული ღირებულებები ისევ ჩამოტარებით იქნება, თუ უკვე ჩადგმით?**

● **ძაან გადავიღალე(თ) ამ მერის კანდიდატების თემით, მარა ბოლოს ვიტყვი და ვსიო. ეს ნარმანია სახლის კატლეტივით არი, ყველას სკოლის კატლეტი ურჩევნია და ვერ ასაბუთებენ რატომ.**

● **გრიშა ონიანი და იგორ გიორგაძეც ჩვენთან ერთად შემოვლენ ევროკავშირში ხოო?**

● **ულიფობას რადარები დააფიქსირებენ თუ facebook-ის აქტივისტები?**

● **სასეიროა ის მრავალდღიანი აურზაური, მისვლა-მოსვლა, ხვევნა-კოცნა, ზარ-ზეიმი, ტაშფანდურა და დროის, ენერგიის და ფინანსების უაზრო ხარჯვა (ვინც კი ოდესმე ტელეეკრანზე გვინახავს ან გაგვიგონია, ყველა ვილნიუსშია), რაც ე.წ. ასოცირების პარაფირების ირგვლივ ხდება!**

**ისე, ვისაც გჯერათ, გაგატარებთ, ოღონდ, რუჩკებს მაინც ნუ ენდობით.**

● **აჰა ჩამოვედი ვილნიუსიდან, დიდი არაფერი — აქაური სამიტები ბევრად უკეთესია....**

● **სამართლიანობა არ აღდგება, წართმეული ბიზნესი არ დაბრუნდება, შუაღამით ჩუმად მინარეთებს აგებენ,**

**ზონდერებს არ სჯიან, მილიარდობით გატანილ ქონებას არავინ დააბრუნებს, სამშობლოს დღითი დღე გვართმევენ და მთავრობა დუმს. ერთ პატრიოტულ სიტყვას ვერ გაიგონებ პარლამენტში, რატომ? ერთი კაცის მოფიქრებულია ეს ყველაფერი. ერთმანეთს გავს.**

● **თბილისელი იქნები, თუ ფარცხანაყანეველი, მთავარია, სიმონა არ იყო. ახლა ფეისბუქზე გამოქვეყნებულ პოსტებს გადავავლე თვალი და არ მესიამოვნა. ეს ლამაზი, კარგად ცნობადი სახეები, მომღერლები თუ ქუჩისა და ტელე „ლომები“ აუ, რამდენ მერობის კანდიდატს დაასახელებენ. არა ხოხბებს არა, უფრო მიმინოს მიაწვებიან.**

● **ვილნიუსი, თორე რას ამბობთ, დაფნის გვირგვინი არ დაგვადგან და ისე არ გამოგვიშვან რაა! წინ დაჯექით, მალე ჩახვალთ!**

● **რა ემართებათ ადამიანებს ხელისუფლებაში თითქმის მოსვლისთანავე? ყველას არ ვხარშავ ერთ ქვაბში, მაგრამ დიდ პროცენტს კი ნამდვილად ეკუთვნის ეს კითხვა? მესმის, არსებობს რაღაც გარკვეული „თამაშის წესები“... მაგრამ ნუთუ შეუძლებელია ყველაზე დიდი სიბინძურის გვერდის ავლა? თუმცა არა! ისეთებიც ხომ არიან პოლიტიკაში , ვინც არ და ვერ „დაისვარა“.... სუსტი ნებისყოფა თუ „ანგარება“? რა ხდება?**

● **პარაფირებულს!.. ჯერარნახულს!.. ჯერარგაგონილს!**

**ვაშა ამ ახალ საქართველოს! ვაშა — შენებას!**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

◎ ძალლური ყოფა

# ძველი ჩინოვნიკები მუშაობას „ნაციონალური“ ინერციით აგრძელებენ

**ნაციონალური ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი იყო თავშესაფრად გადაქცეული მიტოვებული, დაცარიელებული შენობებიდან დევნილების, უსახლკაროთა იძულებით გამოსახლება. მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა წელიწადის დროს. შეეძლოთ ზამთრის სუსხიან დღეებში მისდგომოდნენ ხალხს. გარეთ, ღია ცისქვეშ გამოეყარათ, სიმწრით შეკოწიწებული ფულით ნაყიდი ავეჯითა და საოჯახო ნივთებით.**

სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის მიხედვით **უსახლკარო პირს წარმოადგენს მუდმივი განსაზღვრული საცხოვრებლის არ მქონე პირი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დარეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო. ამავე კანონით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია, უსახლკარო პირები უზრუნველყოს თავშესაფრით, აწარმოოს თავშესაფარში მყოფთა რეგისტრაცია, უზრუნველყოს თავშესაფრის ბინადართა შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სააგენტოებისადმი.**

დღეისთვის უცნობია უსახლკაროთა ზუსტი რაოდენობა, — აცხადებენ ექსპერტები.

„ადამიანის უფლებათა სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე განმარტავს უსახლკაროთა უფლებებს. იგი ამბობს, რომ **ამ კატეგორიის პირებს უფლება აქვთ, თავშესაფრის მოთხოვნით მიმართონ ადგილობრივ თვითმმართველობით ორგანოებს. მიღებული უარის შემთხვევაში შეუძლიათ, პასუხი სასამართლოში გაასაჩივრონ.** იშვიათ შემთხვევაში ასეც ხდება, აცხადებს **ცქიტიშვილი — მაგრამ თვითმმართველობის ორგანოები ყოველმხრივ ცდილობენ, სასამართლოებში დრო გააჭიანურონ, უმეტეს შემთხვევებში კი, სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ ასრულებენ.**

„ადამიანთა უფლებების სახლის“ თავმჯდომარეს ამის ნათელ მაგალითად მოჰყავს თბილისის მერია. ამ უწყებაში განცხადებებს ყოველთვის უარით პასუხობენ. თუ საქმე სასამართლოში მიდის, მერია უმალვე შესაგებელ სარჩელს ამზადებს. ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება იმისათვის, რომ დრო გაიწელოს, — ასკვნის ცქიტიშვილი.

მარტოხელა დედა **მარინა ყარმაზანაშვილი** კარგა ხანია, თბილისში ცხოვრობს. გარემოებათა გამო შვილთან ერთად უბინაოდ დარჩა. რამდენიმე წელი ქირით იცხოვრეს, მაგრამ მისი გადახდა ვეღარ შესძლეს და დარჩნენ ღია ცის ქვეშ. მათი შემოსავალი სოციალურად დაუცველისთვის განსაზღვრული 30 ლარია. ყარმაზანაშვილმა რამდენიმეჯერ მიმართა მერიას თავშესაფრისთვის გამოყოფის მოთხოვნით, მაგრამ ყოველთვის უარით ისტუმრებდნენ. ბოლოს ვიღაც კეთილმა ადამიანმა ავტომობილის მისაბმელი აჩუქა („პრიცეპი“). ვაგონი დედა-შვილმა ალექსეევკის დასახლებაში, სახელმწიფოს კუთვნილ ნაკვეთზე ჩადგეს. მათ იქ არც წყალი აქვთ და არც შუქი. გაზსა და სხვა კომფორტზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. „პრიცეპი“ იმდენად ძველი და ამორტიზებულია, რომ წვიმის დროს იატაკიდან წყალი შედის. სადილს შეგროვილი ფიჩხით დანთებულ ცეცხლზე ამზადებენ. ახლომდებარე მაღაზიებიდან მოტანილი მუყაოს ყუთებით დანთებული ცეცხლით თბებიან. ვაგონში აუტანელი სიცივეა. დასაჯდომად ასევე მაღაზიიდან მოტანილი ხისა და პლასტმასის ყუთები აქვთ გამოყენებული.

ასეთ ვითარებაში მცხოვრებ დედა-შვილს მოადგა მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელი და განუცხადა **— ფართი უკანონოდ გაქვთ დაკავებული და ამისათვის 10-ათასლარიანი ჯარიმა გამოუწერა(?!).** ახლომახლო მცხოვრებნი გაოგნებულები არიან მომხდარით. მათი თქმით, ცხადია, რომ ყარმაზანაშვილი ამ თანხას ვერ გადაიხდის. ამას დაემატება საურავი. რა უნდა გაუყიდონ, როდესაც ვაგონში არაფერია, ხოლო „პრიცეპკა“ ისეთ მდგომარეობაშია, ფული იქით უნდა მისცე ვინმეს, რომ ტერიტორიიდან გაიტანონ. — აღშფოთებას ვერ მალავენ ადგილობრივები.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ იურისტი **ნიკოლოზ ლეგაშვილი** ფაქტს საჯარო მოხელეების მხრიდან მოსახლეობისადმი უსულგულო დამოკიდებულებად აფასებს. მისივე განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არ ასრულებენ კანონით დაკისრებულ მოვალეობას, ამის გამო უსახლკაროები თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ცდილობენ თავშესაფრების მოძებნას, ეს ძირითადად ხდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ფართებსა და ტერიტორიებზე, რითაც დამატებით კონფლიქტში შედიან სახელმწიფოსთან. ეს უკანასკნელი კი რეპრესიული მეთოდებით ცდილობს თვითნებურად დასახლებულთა გასახლებას, — ამბობს ა/ო იურისტი. მის გაკვირვებას იწვევს ის გარემოებაც, რომ უსახლკარო არაფრისმქონეს 10 ათასი ლარით აჯარიმებენ. ამ დროს, საქალაქო სასამართლომ აღმასრულებლის 10-ათასლარიანი ჯარიმა გამართლებულად ცნო (ესეც შენი მოსამართლეთა ქარტია, რომლის მიხედვითაც მოსამართლეს შეუძლია ნებისმიერი საქმე პირადი სინდისისა და შეხედულების მიხედვით უნდა განიხილოს —**ზ. ბ.**). დღეისთვის „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ იურისტები ეხმარებიან დედა-შვილს, რათა სააპელაციო სასამართლომ მათ ჯარიმა მოუხსნას.

ნაციონალების არა მხოლოდ უსახლკაროთა, არამედ საერთოდ მოსახლეობის მიმართ კლასიკური მიდგომის ნიმუშია მერიის სოციალური სამსახურის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. იქ აცხადებენ, რომ ამ საქმეში ევროპულ გამოცდილებას ეყრდნობიან და მაგალითად ლიტვა მოჰყავთ. როდესაც იქ დაუწყიათ უსახლკაროთათვის სოციალური სახლების მშენებლობა, თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა ათასი იყო, მშენებლობის დაწყებისთანავე 2 ათასი გახდა. რაც უფრო იზრდებოდა მშენებლობის მასშტაბები, იზრდებოდა უბინაოთა რაოდენობაც. დღეს საცხოვრებელი 5 ათას ოჯახზე შენდება, ოფიციალურად 40 ათასი უსახლკარო ჰყავთ. მერიაში მიაჩნიათ, რომ აუცილებელია დაბალანსებული მიდგომა (აქამდე ვერ მიუდგნენ? — **ზ. ბ.**) სოციალურ საცხოვრისსა და მოთხოვნას შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იწვევს მოსახლეობის უპასუხისმგებლო მიდგომას საბინაო პირობების მიმართ. ხომ არის შემთხვევები, შვილი მშობელს სახლიდან აგდებს, მოხუცებულთა სახლში მიიღებენო. აქაც იგივე რომ მოხდეს? — აცხადებენ მერიის სოციალური სამსახურის უსულგულო ჩინოვნიკები. როგორც ჩანს, მათ პირველმა ოქტომბერმა — საპრეზიდენტო არჩევნებმა ვერაფერი ასწავლეს. არა უშავს, ადგილობრივი თვითთმმართველობის არჩევნებიც მოვა.

**ზაზა ბილიხოძე**

◎ მცირე მეწარმეობა

# რისკების „მეხამრიდი“ ახალი სააგენტო

***ეკონომიკური კეთილდღეობის დონის მიუხედავად, განვითარებულ თუ განვითარების გზაზე მდგომ ქვეყნებში ეკონომიკური წინსვლის უმნიშვნელოვანესი საყრდენი მცირე და საშუალო მეწარმეობაა, რა მხრივაც, სამწუხაროდ, საქართველო სასურველისგან საკმაოდ შორსაა. ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი ხელშემწყობი პირობების შექმნაზე, მათ შორის, პირველ წლებში გადასახადებისგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებაზე, საბანკო კრედიტების ხელმისაწვდომობაზე, თანაბარუფლებიანი კონკურენტული გარემოს დამკვიდრების, მთელი რიგი სხვა ღონისძიების განხორციელების აუცილებლობაზე საუბარი, ფაქტობრივად, ეკონომიკაში თავისუფალ საბაზრო პრინციპებზე გადასვლისთანავე დაიწყო. პერმანენტულად ამის განსახორციელებლად გარკვეული ნაბიჯებიც იდგმებოდა, თუმცა რეფორმები, სათანადო პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში, საბოლოო ანგარიშით, მუდამ ბოლომდე გაუაზრებელი და სანანევრო იყო, რის გამოც ან საერთოდ არ მუშაობდა, ანდა სადღაც შუა გზაში „იჭედებოდა“.***

ბოლო წლებში ამ თვალსაზრისით რამდენიმე სერიოზული ცვლილება განხორციელდა, მაგალითად, საგადასახადო კოდექსში ზოგიერთი მნიშვნელოვანი დებულება გაცილებით უფრო ლიბერალურით შეიცვალა, შარშანდლიდან მოყოლებული კი პროცესი ბევრად ინტენსიური გახდა, რაც თუნდაც ახალი წლიდან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემოღებითა და მის განხორციელებაზე კონტროლის სრულფასოვანი სტრუქტურის ხელახლა ჩამოყალიბებით გამოიხატება. ინტენსიური მუშაობა ამ მიმართულებით კვლავაც გრძელდება, კერძოდ, ლაპარაკია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროექტზე, რის შემდგომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მცირე მეწარმეობის განვითარების ახალი სააგენტო შეიქმნება, რომლის მთავარი ამოცანა ამ პროცესისთვის ხელშეწყობის უზრუნველყოფა იქნება. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, რომ, მართალია, მთავრობა მცირე მეწარმეობის განვითარების დაჩქარების მიზნით საგანგებო საკანონმდებლო ცვლილებათა განხორციელებას არ გეგმავს, მაგრამ სერიოზულად მუშაობს მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტზე, რომლის ფარგლებში აღნიშნული ახალი სააგენტო შეიქმნება.

— ახალი სტრუქტურა ეკონომიკის სამინისტროს ბაზაზე შეიქმნება და მცირე მეწარმეობის განვითარების ტემპის დასაჩქარებლად ჯერ განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმას შეიმუშავებს, შემდგომ კი მათ განხორციელებაზე იმუშავებს, — განაცხადა პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარემ.

დღესდღეობით მცირე ბიზნესი საქართველოში ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, რასაც ელემენტარული სტატისტიკაც მოწმობს: ოფიციალური მონაცემებით, **მცირე და საშუალო საწარმოთა წილი მთლიანი კაპიტალბრუნვის 20 პროცენტზე ნაკლებია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობაში კი 18 პროცენტამდეა.** არადა, ევროპისა და აზიის წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში, მცირე და საშუალო ბიზნესის წილად 60-70 პროცენტი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყველა სფეროში მოღვაწე გიგანტური სამრეწველო კომპანიების მიუხედავად, ეს მაჩვენებელი სულაც 90 პროცენტს უტოლდება! ამასთან, საქმიანი წრეების წარმომადგენლები წლების განმავლობაში საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემშლელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად საგადასახადო კოდექსს ასახელებენ, რომლითაც მას საამისოდ არანაირი შეღავათები არ აქვს, რის გარეშე მდგომარეობის გამოსწორება, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. ყველაზე დიდი უსამართლობა კი, მათი აზრით (რაც ასევე მსოფლიო პრაქტიკითაცაა დადასტურებული — **ო.ტ.**) ისაა, რომ **დიდი ბიზნესისთვის დაწესებული საგადასახადო განაკვეთით მცირე მეწარმეობის დაბეგვრა მას ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს და არაკონკურენტუნარიანად ხდის და სამომავლო განვითარების ყველა პერსპექტივას უზღუდავს.**

შარშანდელ საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ მიცემული პირობით, მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა სამომავლო მოღვაწეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციაში წინასაარჩევნო დანაპირების შესრულებას სავსებით სამართლიანად მოითხოვენ და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც 1998 წელს შექმნილი მცირე საწარმოთა ხელშეწყობისა და განვითარების ცენტრი 2006 წელს ზურაბ ნოღაიდელმა გააუქმა, ეროვნული ეკონომიკის ეს სექტორი სახელმწიფოს მხარდაჭერას, ფაქტობრივად, მოკლებულია. მეწარმეები განსაკუთრებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრედიტების ძნელად მისაწვდომობას და სიძვირეს უჩივიან.

— სახელმწიფომ მცირე მეწარმეებსა და კომბანკებს შორის შუამავლის როლი უნდა შეასრულოს, რადგან მთლიანად საბანკო სექტორი, ცხადია, ცალკეული გამონაკლისების გარდა, სოციალური პროექტების განხორციელებაზე ნაკლებადაა ორიენტირებული, — ამბობს მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარე ანზორ საკანდელიძე. — აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ისეთი გარემო უნდა შექმნას, რომ მცირე სამეწარმეო საქმიანობის მიმდევართ სერიოზული რისკების თავიდან აცილების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

აქვე საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყანაში მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად ასოციაციამ საქართველოს პარლამენტს შესაბამისი წერილით მიმართა, რომელშიც მეწარმეობის ამ სექტორის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტს 20 მილიონი ლარის გამოყოფას სთხოვს. ამის საფუძველს, ასოციაციის თავმჯდომარის განცხადებით, მცირე საწარმოთა ხელშეწყობისა და განვითარების ცენტრის აღდგენა და ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მისი ფილიალების დაფუძნებაა, რაზეც, აღნიშნული თანხის გამოყოფის შემთხვევაში, მისი ნახევარი დაიხარჯება, დანარჩენი 10 მილიონი კი ახალი საინვესტიციო ფონდის შექმნას მოხმარდება. ეს გარემოება სახელმწიფოს მიერ დაზარალებულ მეანაბრეთა ზარალის თანდათან ანაზღაურების შესაძლებლობას შექმნის.

ამდენად, როგორც ყველა მცირე მეწარმე, მრავალი ექსპერტი და სახელმწიფო ჩინოსანიც კი ერთხმად აღნიშნავს, რომ, მართალია, საქმიანობის დაწყება საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით ადვილია, მაგრამ შემდგომ მის წარმართვასა და, მით უმეტეს, განვითარებას, დიდი პრობლემები ექმნება, რომელთა დაძლევას, ვიმედოვნებთ, ახალი სააგენტო მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

**ოთარ ტურაბელიძე**

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №212

# თანამედროვე საგანმური

**თანამედროვეობაში შეიძლება შეიქმნას მოდერნიც, ავანგარდიც, მაგრამ ძალიან იშვიათად – უკვე კლასიკად აღიარებული შემოქმედება.**

კლასიკა ხომ დროში გამოცდილ ფასეულობებს, დროის დიდ დისტანციას გულისხმობს და იშვიათია, რომ მხატვარი მისივე თანამედროვეთა მიერ იყოს აკადემიურად ახსნილი და სახელდებული.

ჩვენი დროების ცნობილი მხატვრის (ცნობილი და არა ცნობადი სახის) **შალვა მატუაშვილის** გამოფენამ, 28 ნოემბერს, ხელოვნების მუზეუმში, ძველ, უკვე დავიწყებულ ტრადიციასთან, მაგრამ ახალი რეალობის წინაშე დაგვაყენა: თუ როგორ შეიძლება მხატვრის გამოფენა გადაიქცეს საზოგადოების ნამდვილი სიხარულის მიზეზად... რომ აღსადგენია ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, სწორედ აქ, ამ შენობაში, რომელსაც შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო ეროვნული მუზეუმი ქვია.

ყველა მხატვარს აქვს თავისი **„ფიქრები ხელოვნებაზე“,** შალვა მატუაშვილის, როგორც მხატვრის და პიროვნების, ვერბალური განაცხადი ლოკალურია და ცხადი: **„მხატვრობას ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვილი ნამუსიანი ოსტატი სჭირდება“.**

რა შორსაა ეს მისეული ფრაზა რიგ მხატვართა კოკეტურ ბუნდოვანებასთან, ნარცისიზმთან და გამოხატვის საგნისადმი უტილიტარულ დამოკიდებულებასთან.

საგამოფენო სივრცეში ნამდვილი თბილისური საზოგადოების ძვირფასი სილუეტები დადიოდნენ და ლიტერატურის და ხელოვნების პერსონაჟებივით ჩანდნენ, კამერული მუსიკის ცოცხალი შესრულების აკომპანიმენტით...

* * *

ორი თაობის წარმომადგენელს ვთხოვეთ, გამოეთქვა აზრი.

**ლევან ცუცქირიძე:** მე შალვას დიდი ხანია ვიცნობ. სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, როცა დამემოწაფა და ერთად ვმუშაობდით სიონის ფრესკებზე. ის არის არაჩვეულებრივი პიროვნება და მხატვარი. რაც მთავარია, ძალიან მშრომელია. შრომის უნარიც ხომ ნიჭიერებაა. რასაც აკეთებს, თავდადებით, დამოკიდებულებით, სიყვარულით ქმნის და ეს სიყვარული განეფინება, მოდის მისი ნამუშევრებიდან, მნახველამდე აღწევს...

რამდენიმე თაობის ქართველ მხატვართა შორის მას ღირსეული ადგილი უჭირავს.

ის არის ძალიან ვაუკაცური პიროვნება, დინჯი, დაფიქრებული... აქვს ზღვარის შეგრძნება... მის ნამუშევრებს კი უპირობოდ შეიძლება ვუწოდოთ მაღალი ხელოვნება.

**თემო გაცაძე:** ის არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვარი იმ სივრცეში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. რამდენიმე კომპონენტია მის შემოქმედებაში ყველაზე მთავარი ფორმის და ჰაერის დამოკიდებულება ერთმანეთთან და სინათლე. მისი სინათლე თითქოს თრთის, უსაზღვროა. ჰაერის და ფორმის ურთიერთობა არ ისაზღვრება ხაზით, კონკრეტული დამოლოებით. ერთმანეთში გადადის და ქმნის ვიბრაციის ველს. ამგვარი მცდელობები ფერწერაში დიდი ხანია არსებობს, მაგრამ შალვა მატუაშვილის შემოქმედებაში ეს ფაქტიურად გადაწყვეტილია. ყველა მის პორტრეტს აქვს ფსიქოლოგიური დატვირთვა, სიღრმეები, ინდივიდუალობა, მისი ნახატის ნახვა არ სრულდება მხოლოდ შეხებით. მნახველთან დგება სამუდამო კონტაქტი, შინაგანი საუბარი, რომელიც შესაძლოა სამუდამოდ თან გაგყვეს.

ძალიან ღრმა მხატვარია, უფაქიზესი გემოვნების, განსაკუთრებულია მისი პალიტრა – სიმფონიისმაგვარი კოლორიტი. არსად მეორდება. აქვს რბილი და ზოგჯერ მოულოდნელი გადასვლები. ძალიან საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი მხატვარია. მას უნდა ჰქონდეს მუშაობის ნორმალური პირობები, მასზე უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო, **რადგან შალვა მატუაშვილის ნამუშევრები არის ქართული ხელოვნების თანამედროვე საგანძური.**

**ნინო ხოფერია**

# რჩება ნაწერი

ერთი ამქვეყნიური საქმეთაგანი, რითაც შეიძლება თავი უკვდავყო ადამიანმა, შთამომავლობისთვის საგულისხმო მემუარების დატოვებაცაა, მით უფრო, თუ ცნობილი ოჯახის შვილი ხარ და თანადროული ელიტის შუაგულში ტრიალებ. ასეთი აზრი გაუჩნდება ყველას, ვინც **ელისაბედ ერისთავის** (1864-1949) ჩანაწერებს გაეცნობა, ბოლო რამდენიმე წელია სალიტერატურო და სამეცნიერო პერიოდიკაში *(„ლიტერატურა და ხელოვნება“, „ქართული მწერლობა“, „ჩვენი მწერლობა“ გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი)* რომ ქვეყნდება ვრცელი კომენტარებითა და შენიშვნებით, თანდართული ფოტომასალით.

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული აღნიშნული კოლექცია, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქართული მემუარული მემკვიდრეობის „ოქროს ფონდს“ განეკუთვნება. იგი საყურადღებო წყარო და მასალაა XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართული არისტოკრატიისა და ინტელიგენციის, საზოგადოებრივი აზრის, კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად.

ქალბატონი ელისაბედი ქართული უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელია, დედით და მამით ქსნის ერისთავი და მეფე ერეკლე მეორის შთამომავალი თამარ და ანასტასია ბატონიშვილების მხრიდან. ის უმრწემესი ასულია 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი თავკაცის ელიზბარ ერისთავისა, დედამისი – ქეთევან ერისთავი პოეტის, კოზლოვის „შეშლილის“ მთარგმნელის რევაზ შალვას ძე ერისთავის დაა, ნათესავი და ახლო მეგობარი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომელმაც მას ლექსი „ქეთევან“ უძღვნა.

ელისაბედ ერისთავმა პირველდაწყებითი განათლება ჯერ გორის კერძო სკოლებში, მერე კი შინ, გუვერნანტის დახმარებით მიიღო. მცირე ხანს სწავლობდა თბილისში დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეუღლის ოლღა თევდორეს ასულის მიერ 1864 წელს დაარსებულ ქალთა პირველ სასწავლებელში,

ელისაბედ ერისთავი

შემდგომში თბილისის დიდი მთავრინა ოლღა თეოდორეს ასულის პირველ გიმნაზიად წოდებულში. როგორც მისი მოგონებებიდან ჩანს, შესწავლილი ჰქონია ხალხური მედიცინა და კურნავდა ქსნის ხეობის მოსახლეობას. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ მუშაობდა თბილისის სამკურნალო დაწესებულებებში. საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ახლო ნათესავებთან. გარდაიცვალა საკმაოდ ხანდაზმული.

ფრაგმენტული ხასიათის მოგონებები, რომელიც ხანდაზმულ მემუარისტს ჩაუწერია, უწინარესად მისი ცნობილი ოჯახის, საგვარეულოს ისტორიასა და გენეალოგიას გვაცნობს. იგი ქსნის ერისთავთა ერთგვარ საგვარეულო მატიანედ შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, ქსნის საერისთავო და მისი წარმომადგენლები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე რუსეთის კოლონიად ქცეულ საქართველოში. ისინი ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ და ღრმა კვალი დატოვეს ქვეყნის ისტორიაში, მის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქსნის ერისთავები მრავლად არიან წარმოდგენილნი 1832 წლის შეთქმულებაში. შეთქმულების თავკაცი ელიზბარ ერისთავი, გიორგი და დავით ერისთავები, ივანე ერისთავი, რევაზ შალვას ძე ერისთავი, მანანა ერისთავი-ორბელიანისა, კონა ერისთავი, პოეტი ქალები მარიამ და ეკატერინე ერისთავები, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია – ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია ამ საგვარეულოს მოღვაწეთა.

ქსნის ერისთავებთან ერთად მოგონებათა ფურცლები ეთმობა მათ ნათესავ-მოყვარეთაც, ორბელიანთა, ბაგრატიონ-მუხრანელთა, ბარათაშვილთა, ჭავჭავაძეთა და სხვა სათავადოთა გამორჩეულ წარმომადგენლებსაც. ვრცელია მემუარების გეოგრაფია. ის სცილდება საქართველოს საზღვრებს და რუსეთის მთელ იმპერი-

# რჩება ნაწერი

ას, ევროპის ქვეყნებს სწვდება. შთამბეჭდავია ისტორიულ პირთა გალერეა, რომელსაც ნიკოლოზ გარათაშვილის, დავით ჭავჭავაძის, ლევან მელიქიშვილის, გრიგოლ, ყაფლან, ალექსანდრე, დიმიტრი, ვახტანგ, მანანა, მაიკო, მარიამ, კოლა ორბელიანების, სხვა კოლორიტულ პირთა ხუთასამდე პორტრეტები ამშვენებს.

მემუარისტი პოეტურად, ხატოვანი ენით მოგვითხრობს თავისი სანათესაოს, მეგობრების, სტუმრების ბიოგრაფიულ ეპიზოდებსა და სულის რხევებზე, ქვეყნის ბედთან გადაჯაჭვულ მათ ბედ-იღბალზე. მოგონებათა ფერდაკარგული ფურცლებიდან გამოისმის და სმენას ატკბობს ბაგრატიონთა, ორბელიანთა, გარათაშვილთა განოვანების კაბებისა და მარაოების შრიალი. საყოფაცხოვრებო ჟანრის ერთი შეხედვით წვრილმან ამბებსა და სადაგ ყოფაში იკვეთება XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართული არისტოკრატიისა და კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების მახასიათებელი ნიშნები, იქმნება თუ ახალი შტრიხებით მდიდრდება ისტორიულ პირთა პორტრეტები, რაც ეპოქის მაჯისცემას, სურნელსა და სუნთქვას შეგვაგრძნობინებს, მისი სულისკვეთების გარკვევასა და ქვეყნის ისტორიის შესწავლაში გვეხმარება.

ელისაბედ ერისთავი ფერადოვნად გვიხატავს ქსნის ხეობის სანახებს, ისტორიულ სოფელს კარალეთს, ქართლის თვალწარმტაც პეიზაჟებსა და ბუკოლიკურ-იდილიურ სურათებს. ძნელია აუღელვებლად წაიკითხო, რატომ უწოდებდნენ მეჯვრისხევს „პატარა პარიზს“, როგორ შთანთქა ხანძარმა ტატო გარათაშვილის ხელით გადაწერილი, ვარაყებით შემკული „ვეფხისტყაოსანი“, როგორ აღმოაჩინა ქსნის ხეობაში ერთმა ერისთავთაგანმა „პირისფერი მარმარილო“, როგორ გამოიგონა მეორემ „საფრენი მანქანა“, როგორ დაიკარგა პეტერბურგიდან შვილისა და რძლისთვის გამოგზავნილი ანასტასია ბატონიშვილის წერილებიანი ზარდახშა, როგორ ოხუნჯობდა ფრანგი დალაქი ბერლემონი პოეტ ვახტანგ ორბელიანის სიმელოტეზე, როგორ კამათობდნენ იმდროინდელ საქართველოში პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიაზე...

სამწუხაროდ, ხელნაწერები მეტად მკრთალი მელნითაა შესრულებული, რის გამოც ძნელდება ზოგიერთი ადგილის ამოკითხვა. გვხვდება დაუსრულებელი ფრაზები, შეიმჩნევა კალმისმიერი, მეხსიერებისმიერი შეცდომები, რაც ზოგადად სახასიათოა მემუარული ხასიათის ტექსტებისთვის. არის ფაქტობრივი შეცდომები და ანაქრონიზმებიც, რასაც პუბლიკაციებს თანდართული შესაბამისი კომენტარები და შენიშვნები განმარტავს და ავსებს. მიუხედავად აღნიშნული ნაკლულოვანებისა, აღნიშნული ჩანაწერები ეპოქის ფასდაუდებელი დოკუმენტებია. ისინი იმ თვალ-მარგალიტს შეიძლება შევადაროთ, ყოველ ჯერზე რომ ამოყვება ხელს ძვირფასეულობით სავსე ზარდახშიდან. ის შეიძლება შევადაროთ მონუმენტურ ფერმკრთალ ფრესკასა თუ ალაგ-ალაგ კენჭებდაცვენილ მოზაიკურ პანოს, რომელიც მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიული ყოფისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფრაგმენტებს ასახავს.

ელისაბედ ერისთავის მემუარების ერთ წიგნად გამოცემა საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობის მიერ მომავალ წელს ივარაუდება. წიგნის ფურცლებზე მკითხველს ბევრ უცნობ ფაქტსა თუ მოვლენასთან, საინტერესო პიროვნებასთან შეხვედრა, დიდი სიხარული, ცნობისწადილის დაკმაყოფილება და ესთეტიური სიამოვნება ელის. ის უხვად იქნება ილუსტრირებული მუზეუმის იკონოგრაფიულ განყოფილებაში დაცული და ერისთავთა შთამომავლების საოჯახო ალბომებში შემონახული ფოტოსურათებით.

**მაია ცერცვაძე**

**და-ძმა ელისაბედ და ზაძარია (ზაძრო) ერისთავები.**

# მონასტრის დედების „ბედნიერება“

**მუდამ ინტერესის აღმძღვრელი, გარე სამყაროსთვის თითქმის შეუღწეველი, ასკეტური სივრცე – მონაზვნების გარემო და ყოფიერება განსაკუთრებული გრძნობით განგვაწყობს და განუწყვეტელი ფიქრის აღმძვრელია მათი ფიზიკური თუ სულიერი არსებობა.**

მარტვილის წმინდა ნინოს დედათა მონასტრის არაჩვეულებრივი, ულამაზესი ადგილმდებარეობა, საგანმანათლებლო ტრადიციები და ლოცვითი გარემო, როგორც ჩანს, მათ სხვა, შემოქმედებითი მოღვაწეობისკენაც უხმობს. მონაზვნის თავსაბურავის მიღმა, მხატვრულად, შემოქმედებითი თვალით დანახული ქვეყანა და ადამიანური ურთიერთობები... ისინი ხატავენ, ქსოვენ, პალიტრის ყველა ფერთან ურთიერთობენ...

რისი გადმოცემა სურთ მონაზვნებს ჩვენთვის, რისი ჩვენება? რისთვის რჩებათ დრო მონასტრის მკაცრი ტიპიკონით შემოსაზღვრულ ყოფიერებაში?

2007 წელს მღვდელმთავარმა, ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა პეტრემ მარტვილის რეზიდენციის გვერდით, უძველესი სასულიერო სასწავლებლის ადგილას, წმინდა ნინოს დედათა მონასტერი დააარსა. 2011 წელს კი უკვე განახლებული და განსაკუთრებული მყუდროებით აღვსილი შენობა აკურთხა...

რწმენა, სასულიერო განათლება და ცნობიერება – ეს გახლავთ ის საფუძველი, რაზედაც მონასტრის დედების ხელოვნება აღმოცენდა (დაზგური ფერწერა, მინანქარი, თექა, სათამაშოები).

მონასტრის სამხატვრო სახელოსნოში დედებს განსხვავებული ტექნოლოგიების გამოყენების საშუალება მიეცათ.

მაგალითად, თექის დეკორატიულ ნიმუშებს არა ტრადიციულად, მშრალი ტექნოლოგიით ამზადებენ, არამედ ღებავენ, შემდგომ ტილოზე ამაგრებენ.

თექის მშრალი დამუშავების მეთოდი აპრობირებულია გასული საუკუნის მოდერნისტულ ხელოვნებაში (ტილოზე თუ ხის ფაქტურაზე დამაგრებით) და ქართველმა მხატვრებმაც შექმნეს ცალკეული, იმ დროისთვის ექსპერიმენტული ნიმუშები.

ამ მხრივ საინტერესოა, რომ დედების ნამუშევრებზე სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობების კვალიც აღინიშნება, ანუ ისინი ხელოვნების ისტორიულ ინფორმაციებს გარკვეულწილად ფლობენ.

28 ნოემბერს, მარტვილის დედების ნამუშევართა გამოფენა გაიხსნა გალერეა „ვაჩეს“ ორიგინალურ, კოლორიტულ, მაგრამ პატარა საგამოფენო სივრცეში არა მარტო მრავალრიცხოვანი მაყურებელი, არამედ ნამუშევრებიც ვერ ეტეოდა...

მათი რაოდენობის და მასშტაბის გათვალისწინებით, სასურველი იქნება შემდგომი ექსპოზიცია უფრო დიდ, ანალოგიურ დარბაზებში მოეწყოს...

ფაქტურის, კოლორიტის, კომპოზიციის აგების და სხვა ნიუანსების გათვალისწინებით, ყურადღებით ვაკვირდებოდი ნამუშევართა სახელდებებსაც: „იასამნისფერი მელოდია“, „პარიზი“, „ცეკვა“, „იალქნები“, „თავისუფლება“, „მეჯლისი“, „ვენეციელი ბიჭი“, „ბედნიერება“ და ა. შ.

...ანუ ეს ჩვენი სამყაროა, ჩვენი ცხოვრების არეალი, მათთვის კი, ვინ იცის, ნოსტალგიად ქცეული...

და როცა მონაზონი მხატვარი შემოდგომის ბაღის განაპირა სკამზე, შეყვარებული ქალ-ვაჟის ერთად ყოფნის სცენას **„ბედნიერებას“** არქმევს, ეს ჩვენთვის, ალბათ, სევდის აღმძვრელი უნდა იყოს... მაგრამ ისინი, უსათნოესი დედები ხომ უკვე სხვა რეალობაში, სხვა განზომილებაში არიან. მიწიერზე ამაღლებული, დიდი სიხარულის და ნეტარების მოლოდინში... და არა მარტო იმ ვაჟისა და ქალისთვის, არამედ ყველა ჩვენგანისთვის მლოცველნი... საბოლოოდ (რა თქმა უნდა, ყოველთვის არა), მათი ბედნიერება სასოებასა და მორჩილებაში იბადება და, როგორც ვხედავთ, ხელოვნებასთან ზიარებაცაა, სიხარულის თუ ბედნიერების ნახატები, რაზეც მარტვილის მონასტრის ამ მშვენიერმა დედებმა თავიანთი სულის ანაბეჭდები დატოვეს.

**ნინო ხოფერია.**

**სურათებზე: მონასტრის დედების ნამუშევრები თექაზე.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ოფიციალური თბილისი: საქართველოს ევროინტეგრაცია შეუქცევადი პროცესია

## საქართველომ ევროკავშირთან შეთანხმების პარაფირება მოახდინა

**28 ნოემბერს ვილნიუსში ევროკავშირის სამიტზე „აღმოსავლური პარტნიორობა“ საქართველომ და მოლდოვამ მოახდინეს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის ხელშეკრულების პარაფირება. 29 ნოემბერს გაიმართა პარაფირების ოფიციალური ცერემონია. ამრიგად, საინტეგრაციო პროცესის წინასწარი სტადია უკვე უკან დარჩა. შესაბამისი შეთანხმების ხელმოწერა ევროკავშირის ქვეყნებთან, შესაძლებელია, 2014 წლის სექტემბერში გაიმართოს.**

შეგახსენებთ, რომ უკრაინამ მოახდინა ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირება და ხელი უნდა მოეწერა მისთვის ვილნიუსის სამიტზე, მაგრამ იმის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ოფიციალურმა პირებმა რუსეთის ზემოქმედებით შეაჩერა ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მომზადების პროცესი.

საქართველოში მოვლენათა ასეთმა განვითარებამ წამოჭრა საკითხი: ხომ არ შეეცდება მოსკოვი, გაიმეოროს უკრაინის სცენარი ოფიციალურ თბილისთანაც? თუმცა, საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ, თუ რუსეთის ხელმძღვანელობა ჩადგება საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე, მას შეეძლება, შეაჩეროს მოსკოვის ზემოქმედება.

**„ჩვენ გვინდა მოვაწესრიგოთ ურთიერთობა რუსეთთან“,** — ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, რომელიც ვილნიუსის სამიტის ფარგლებში ბიზნეს-ფორუმზე გამოვიდა. — **„არის პოლიტიკური ზემოქმედების შანსი, — განაგრძო მინისტრმა. — ზემოქმედება განიცადა ქართულმა ბაზარმაც, ვინაიდან ჩვენი პროდუქციის ექსპორტზე მოქმედებდა ემბარგო... მტკივნეული იქნება, თუ რუსეთი ამას გაიმეორებს (ემბარგოს შემოღებას — რედ.), მაგრამ ჩვენი ბაზარი მაქსიმალურად დივერსიფიცირებულია და, ვფიქრობ, რომ ემბარგო ძლიერ არ აისახება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე“.**

შეგახსენებთ, რომ წელს რუსეთმა გააუქმა 2006 წელს შემოღებული ემბარგო ქართულ პროდუქციაზე. სხვათა შორის, წინა ხელმძღვანელობის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრად გახდომის შემდეგ მოსკოვი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებული იყო, გაეხსნა თავისი ბაზარი საქართველოსთვის.

### „შეუქცევადი პროცესი“

**იმის საფრთხესთან დაკავშირებით, რომ რუსეთმა შეიძლება გააძლიეროს თავისი ზემოქმედება საქართველოზე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ „ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული რუსეთზე, ვიდრე „აღმოსავლური პარტნიორობის“ სხვა ქვეყნები. ამას გარდა, განაგრძო ფანჯიკიძემ, იმ პირობებში, „როდესაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის ჯარების მიერ, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი კი აღიარებულია რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, რუსეთს უკვე აღარ გააჩნია არეალი ზემოქმედების გაძლიერებისთვის“.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ სიტუაციამ უკრაინასთან დაკავშირებით, შეიძლება, დააჩქაროს კიდეც ევროკავშირთან საქართველოს შეთანხმების ხელმოწერის პროცესი.

*„არის აზრი იმის შესახებ, რომ შეიძლება გაიზარდოს პროვოკაციების რაოდენობა,* — აღნიშნა მინისტრთა კაბინეტის ახალმა ხელმძღვანელმა. — **ამას დრო გვიჩვენებს. ჩვენ მაქსიმალურად ვიქნებით მობილიზებული, რომ დროულად მივიღოთ პრევენციული ზომები“.**

**„ევროპული ოჯახი ჩვენი ხალხის არჩევანია,** — ხაზგასმით აღნიშნა ღარიბაშვილმა, — **შესაბამისად, ეს პროცესი შეუქცევადი იქნება“.**

საქართველოს დაახლოება ევროპასთან გულისხმობს ქვეყნის უშიშროების გაძლიერებას, აღნიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ. **„ითქვა, და მეც ვიმეორებ, საქართველოს მიერ თება ნატოსთან და ევროკავშირთან შეუქცევადი ხდება. ეს არის სიგნალი, რომელიც ჩვენ უნდა გადავცეთ, უწინარეს ყოვლისა, მოწინააღმდეგეებს. ისინი დაინახავენ რომ არანაირი მათი ნაბიჯი საქართველოს წინააღმდეგ არ აღუდგება ამას წინ“,** — განაცხადა მინისტრმა 27 ნოემბერს.

### „თავშეკავებული პასუხი“

**ვილნიუსის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე ცხინვალის რეგიონში დააპატიმრეს ორი ადგილობრივი მცხოვრები — ეთნიკური ქართველები — „სახელმწიფო საზღვრის“ გადაკვეთის გამო. საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ იმგვარი მოქმედება, როგორიცაა საქართველოს და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ბარიერების აგება, უწინარეს ყოვლისა, ემთხვევა „აღმოსავლური პარტნიორობის“ სამიტს.**

**„ეს პროცესი ჩვენ ძალიან გვაღელვებს, და ჩვენ ვახორციელებთ საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზაციას ამ უკანონო მოქმედებათა თავიდან ასაცილებლად. ეს პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს. ჩვენი პასუხი რუსეთის არალეგალურ მოქმედებებზე თავშეკავებული იქნება. ჩვენ არ ავყვებით რუსეთის პროვოკაციებს და არ გამოვიწვევთ სიტუაციის ესკალაციას“,** — განაცხადა ამასთან დაკავშირებით მაია ფანჯიკიძემ.

საქართველოს ახალი ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკური მოქმედებები პოზიტიურად შეაფასა ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებში ჯეიმს აპატურაიმ.

**„ჩვენ უამრავი მილოცვა მივიღეთ უკანასკნელ პერიოდში მიღწეული წინწაწევისთვის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ძლიერი მხარდაჭერისთვის, მათ შორის, მაშინაც, როდესაც საქმე შეეხება ეგრეთ წოდებულ „საზღვრის მოწყობას“, რომელსაც რუსეთი ახორციელებს. ამ თვალსაზრისით, საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირება მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმისთვის, რომ საქართველოს წინსვლა ევროატლანტიკური გზით სტაბილური გახდა“,**— დაწერა მან თავის ვებ-გვერდზე „ფეისბუკში“, როდესაც კომენტარს უკეთებდა საქართველოს ევროპისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ალექსი პეტრიაშვილის შეხვედრას ნატოს გენერალურ მდივანთან ანდერს ფოგ რასმუსენთან, რომელიც ბრიუსელში 28 ნოემბერს გაიმართა.

### პირველი ვიზიტი

**ვილნიუსის სამიტში მონაწილეობას ღებულობს გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს ახალი პრეზიდენტი. ეს მისი, როგორც ქვეყნის პრეზიდენტის, პირველი ვიზიტია საზღვარგარეთ, 29 ნოემბრისთვის დაგეგმილია მარგველაშვილის გამოსვლა სამიტის პლენარულ სესიაზე. როდესაც კომენტარს უკეთებდა საქართველოს მიერ მიღწეულ შეთანხმებას ევროკავშირთან, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ამით ქვეყანამ „გადადგა ნაბიჯი, რომელიც დააახლოებს მას ევროკავშირთან და უზრუნველყოფს საქართველოს ევროპული კურსის შეუქცევადობას“.**

**„ჩვენ ვდგამთ მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯს, რომელიც ფაქტობრივად იძლევა საქართველოს ისტორიული არჩევანის განხორციელების გარანტიას — გახდეს ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახის წევრი“,** — ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე

**სამიტის მეორე დღე ვილნიუსში: ევროკავშირთან უკრაინის შეთანხმების ჩაშლა გაისისთვის გადააძვთ**

**უკრაინის საკითხი ფორუმის ერთ-ერთ ძირითად თემად რჩება, მაგრამ ახლა მონაწილეები შეეცდებიან, მონახონ გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, 2014 წლის თებერვალ-მარტში დავუბრუნდეთ სამიტზე უკრაინა-ევროკავშირის შეთანხმებას. იმაში, რომ დოკუმენტს ხელი არ მოეწერა ამჟამინდელ სამიტზე, ბრალს იანუკოვიჩის ამბიციებს სდებენ. რუსეთის როლი კი რამდენადმე გადიდებულია, მიაჩნიათ ევროპაში.**

* * *

**გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო ნალმსატყორცნის სროლა რუსეთის ფედერაციის საელჩოს მისამართით დამასკოში, იგი ტერაძტს გაუთანაბრეს**

**უშიშროების საბჭომ მოითხოვა, პასუხი აგებინონ დამნაშავეებს. უშიშროების საბჭოს წევრებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს დაღუპულთა ოჯახებს და ყველას, ვინც დაზარალდა სროლის შედეგად. რუსეთის საელჩოზე შეტაკება ასევე დაგმეს მსოფლიო ორგანიზაციის სამდივნოში და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში.**

* * *

**„ფეისბუქის“ აქტივისტი ქალები წაეჩხუბნენ მეძავებს ბერლინში და მხარი დაუჭირეს კიევის „ევრომაიდანს“**

**მოძრაობის წარმომოადგენლები ყინვიან ამინდში გაშიშვლდნენ ევროკავშირთან უკრაინის ასოციაციის მხარდაჭერის სასარგებლოდ და გაუძღეს ყინულის კუბებით შეტევას, ცდილობდნენ მიეღწიათ გერმანიაში სექს-ინდუსტრიის აღიარებისთვის.**

* * *

**აფეთქებამ ლიბიაში არმიის საბრძოლო მასალათა საწყობში 40-ზე მეტი კაცი იმსხვერპლა**

**ინციდენტი ქვეყნის სამხრეთში მოხდა, როდესაც ადგილობრივ მცხოვრებთა და აფრიკის სხვა ქვეყნებიდან იმიგრანტთა დიდი ჯგუფი შეიჭრა საწყობში, რათა იგი აეფეთქებინათ. არის საფრთხე, რომ მსხვერპლის რიცხვი გაიზრდება, ვინაიდან აფეთქების შემდეგ გაჩნდა ძლიერი ხანძარი და ხალხი შეიძლება გაგუდული ან დამწვარი იყოს.**

**დანართი 1**
**„დამტკიცებულია“**
**სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის**
**2013 წლის 29 ნოემბრის №01-11/93 ბრძანებით**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საფინანსო სისტემის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების მიზნით, აცხადებს კონკურსს 2014 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) არ უნდა ხორციელდებოდეს ბანკის ლიკვიდაცია და არ უნდა მიმდინარეობდეს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ბანკის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა;

გ) ბანკს უნდა გააჩნდეს ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არანაკლებ ორი საბანკო მომსახურების სრული სერვისის მქონე ფილიალი ან/და სერვის ცენტრი;

დ) ბანკს უნდა გააჩნდეს ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არანაკლებ ოთხი ბანკომატი (აუცილებელია ერთი ბანკომატი განათავსოს უნივერსიტეტის (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ.35) ან მიმდებარე ტერიტორიაზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღის ვადაში);

ე) კომერციულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტისათვის ელექტრონული გადარიცხვების სისტემის გამართვა და სპეციალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ვ) კონკურსში გამარჯვებული ბანკი ვალდებულია აანაზღაუროს უნივერსიტეტის ანგარიშებზე (ბაზისბანკი) არსებული თანხის ნაშთის საკუთარ ბანკში გადატანის ხარჯები (საკომისიო და სხვ.).

კონკურსში მონაწილე კომერციულმა ბანკმა საკონკურსო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რეკვიზიტების მითითებით;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე ყადაღა არ არის დადებული;

დ) ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის შესახებ, დამადასტურებელი დოკუმენტების დართვით;

ე) ბოლო ერთი წლის აუდიტორული დასკვნა.

კონკურსში მონაწილე კომერციული ბანკის საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს (და არ შემოიფარგლებოდეს) ინფორმაციას შემდეგი პირობების შესახებ:

ა) საპროცენტო სარგებლის ოდენობები;

ბ) სტუდენტთა სწავლის საფასურის დასაფინანსებელი სესხები;

გ) თანამშრომელთა სესხები;

დ) სახელფასო პროგრამის ტარიფები;

ე) მომსახურების ტარიფები;

ვ) ფილიალების, სერვის ცენტრებისა და ბანკომატების ქსელი;

ზ) ბანკის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა წარჩინებულ სტუდენტებზე;

თ) დამატებითი მომსახურებები.

კონკურსში მონაწილე კომერციული ბანკის მიერ ქართულ ენაზე შედგენილი საკონკურსო წინადადება და თანდართული დოკუმენტები, ერთად, ერთ დახურულ კონვერტში, რომელიც ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს ბანკის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ, წარმოდგენილი უნდა იქნას 2013 წლის 16 დეკემბერს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსი მერაბ ბერიძე (ადმინისტრაციული კორპუსი, I სართული, ოთახი №1; ტელ: 7 17 86; მობ.: 577 21 21 91).

საკონკურსო წინადადება გაიხსნება 2013 წლის 17 დეკემბერს 12 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საკონკურსო კომისია წარმოდგენილ წინადადებებს შეაფასებს და გამარჯვებულს გამოავლენს საკონკურსო წინადადებების გახსნიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

---

**დანართი 2**
**„დამტკიცებულია“**
**სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის**
**2013 წლის 29 ნოემბრის №01-11/93 ბრძანებით**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის საკონკურსო პირობებისა და კონკურსის ჩატარების წესი

### I. კონკურსის მიზანი

1.1 კონკურსის მიზანია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი საკონკურსო პირობების გათვალისწინებით შეარჩიოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკი.

### II. კონკურსის პირობები

2.1 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) არ უნდა ხორციელდებოდეს ბანკის ლიკვიდაცია და არ უნდა მიმდინარეობდეს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ბანკის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა;

გ) ბანკს უნდა გააჩნდეს ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არანაკლებ ორი საბანკო მომსახურების სრული სერვისის მქონე ფილიალი ან/და სერვის ცენტრი;

დ) ბანკს უნდა გააჩნდეს ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არანაკლებ ოთხი ბანკომატი (აუცილებელია ერთი ბანკომატი განათავსოს უნივერსიტეტის (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ.35) ან მიმდებარე ტერიტორიაზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღის ვადაში);

ე) კომერციულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტისათვის ელექტრონული გადარიცხვების სისტემის გამართვა და სპეციალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ვ) კონკურსში გამარჯვებული ბანკი ვალდებულია აანაზღაუროს უნივერსიტეტის ანგარიშებზე (ბაზისბანკი) არსებული თანხის ნაშთის საკუთარ ბანკში გადატანის ხარჯები (საკომისიო და სხვ.).

2.2 კონკურსში მონაწილე კომერციულმა ბანკმა საკონკურსო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რეკვიზიტების მითითებით;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე ყადაღა არ არის დადებული;

დ) ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის შესახებ, დამადასტურებელი დოკუმენტების დართვით;

ე) ბოლო ერთი წლის აუდიტორული დასკვნა.

2.3 კონკურსში მონაწილე კომერციული ბანკის საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს (და არ შემოიფარგლებოდეს) ინფორმაციას შემდეგი პირობების შესახებ:

ა) საპროცენტო სარგებლის ოდენობები;

ბ) სტუდენტთა სწავლის საფასურის დასაფინანსებელი სესხები;

გ) თანამშრომელთა სესხები;

დ) სახელფასო პროგრამის ტარიფები;

ე) მომსახურების ტარიფები;

ვ) ფილიალების, სერვის ცენტრებისა და ბანკომატების ქსელი;

ზ) ბანკის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა წარჩინებულ სტუდენტებზე;

თ) დამატებითი მომსახურებები.

2.4 კონკურსში მონაწილე პრეტენდენტი კომერციული ბანკების საკონკურსო წინადადებები მიიღება მხოლოდ ქართულ ენაზე.

### III. კონკურსის ჩატარების წესი

3.1 კონკურსში მონაწილე პრეტენდენტმა კომერციულმა ბანკებმა საკონკურსო კომისიას უნდა წარმოუდგინოს ქართულ ენაზე შედგენილი საკონკურსო წინადადება და თანდართული დოკუმენტები ერთად მოთავსებული ერთ დახურულ კონვერტში, რომელიც ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს ბანკის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ხელმოუწერელი წინადადებები კომისიის მიერ არ განიხილება და უბრუნდება პრეტენდენტ ბანკს.

3.2 საკონკურსო წინადადება და თანდართული დოკუმენტები საკონკურსო კომისიას წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებულ დროსა და მისამართზე.

3.3 საკონკურსო წინადადებების მიღებასა და მათ რეგისტრაციას, მიღების თარიღისა და დროის მითითებით აწარმოებს საკონკურსო კომისია.

3.4 საკონკურსო წინადადება, რომელიც საკონკურსო კომისიას წარედგინება განცხადებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, უარყოფილი იქნება და უბრუნდება პრეტენდენტ ბანკს გაუხსნელად.

3.5 პრეტენდენტ ბანკს უფლება აქვს საკონკურსო წინადადებების გახსნამდე წინადადებით მიმართოს საკონკურსო კომისიას საკონკურსო წინადადების გატანის, მისი შეცვლის ან მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

3.6 საკონკურსო წინადადებაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია საკონკურსო წინადადებების მიღების დროის ამოწურვის შემდეგ.

3.7 საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საბანკო მომსახურებაზე კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებულ დროსა (თარიღი, საათი) და მისამართზე კონკურსში მონაწილე ბანკების წარმომადგენელთა (შესაბამისი მინდობილობით) მონაწილეობით. ბანკის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა არ არის საკონკურსო წინადადების გახსნის გადადების საფუძველი.

3.8 წინადადების გახსნისას გამოცხადდება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტი ბანკის ვინაობა და მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო პირობები.

3.9 საკონკურსო წინადადებების გახსნის შემდეგ, საკონკურსო კომისია დაადგენს საკონკურსო წინადადებების შეფასების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხუთ სამუშაო დღეს წინადადებების გახსნის დღიდან.

3.10 საკონკურსო წინადადებების შეფასების დროს აღმოჩენილი გაუგებრობების განმარტების მიზნით კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს პრეტენდენტ ბანკს მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო პირობების დაზუსტება. თხოვნა დაზუსტების შესახებ და მასზე პასუხი წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. პრეტენდენტის მიერ დაზუსტებული პირობა არსებითად არ უნდა ცვლიდეს მის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას.

3.11 ყოველი პრეტენდენტი ბანკის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება თითოეული კომისიის წევრის მიერ ფასდება ინდივიდუალურად. კომისიის წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ პრეტენდენტს. გამარჯვებულად ითვლება ის პრეტენდენტი ბანკი, რომელიც მიიღებს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობის ხმებს.

3.12 კომისიის წევრი პრეტენდენტი ბანკის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შეფასებას ახდენს შემდეგი სისტემით:

ა) საპროცენტო სარგებლის ოდენობები - მაქსიმუმ 20 ქულა;

ბ) სტუდენტთა სწავლის საფასურის დასაფინანსებელი სესხები - მაქსიმუმ 15 ქულა;

გ) თანამშრომელთა სესხები - მაქსიმუმ 15 ქულა;

დ) სახელფასო პროგრამის ტარიფები - მაქსიმუმ 15 ქულა;

ე) მომსახურების ტარიფები - მაქსიმუმ 15 ქულა;

ვ) ფილიალების, სერვის ცენტრებისა და ბანკომატების ქსელი - მაქსიმუმ 10 ქულა;

ზ) ბანკის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა წარჩინებულ სტუდენტებზე - მაქსიმუმ 5 ქულა;

თ) დამატებითი მომსახურებები - მაქსიმუმ 5 ქულა; მაქსიმალური ქულა - 100 ქულა.

თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებული ბანკის ვინაობა კომისიის წევრის მიერ დგინდება ინდივიდუალურად, რაზედაც იგი წერს წერილობით დასკვნას.

3.13 კომისიის მიერ მონაწილე პრეტენდენტების შეფასებისა და გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ დგება ოქმი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

◎ ვაი, სირცხვილო!

# საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებები იაპონიიდან გამოაძევეს

**ძიუდოისტთა ასაკობრივი ნაკრები გუნდები იაპონიიდან გამოაძევეს. ქართველი მოჭიდავეები სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდნენ და გამოძევების მიზეზი ადგილობრივ წესებში გაურკვევლობა, ცუკუბას უნივერსიტეტის შიდაგანაწესის დარღვევა გახდა.**

**მომხდარის შესახებ ძიუდოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა გია გუგავამ განაცხადა.**

ცუკუბას უნივერსიტეტის შიდაგანაწესის დარღვევა შემდეგში გამოიხატა: ქართველი ძიუდოისტები ხმადაბლა ლაპარაკის ნაცვლად საუბრობდნენ ჩვეულ ტონში — ხმამაღლა; ასევე უსმენდნენ ხმამაღალ მუსიკას, რაც ასევე ნორმის დარღვევაა. რიგითი მოქალაქისგანაც შევიდა საჩივარი მათზე ქუჩაში ველოსიპედით ზომაზე სწარაფად მოძრაობის შესახებ; ერთ-ერთმა სპორტსმენმა კი სასტუმროში უნებლიედ ცეცხლმაქრი ბალონი აამუშავა.

ორივე ნაკრები უკვე დაბრუნდა თბილისში. ამ ფაქტის გამო ახალგაზრდული ნაკრების ლიდერები, ამ ასაკში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი პირად-გუნდურში ბექა ღვინიაშვილი (90) და ევროპის ჩემპიონი გურამ თუშიშვილი (100) ძიგორო კანოს მემორიალში ვეღარ გამოვლენ. ისინი თავიანთი შეკრების დასრულების შემდეგ ეროვნულ ნაკრებს უნდა შეერთებოდნენ, მაგრამ საქართველოში ჩამოსულებმა ხელახლა ვიზის სწრაფად აღება ვერ შეძლეს.

ჭაბუკთა და ახალგაზრდული გუნდები იაპონიაში 11 ნოემბერს წავიდნენ ორკვირიან შეკრებაზე. მათ თავიდან ცუკუბას უნივერსიტეტში უნდა ევარჯიშათ, მერე კი კოდოკანში უნდა გადასულიყვნენ და იაპონელთა ახალგაზრდულ გუნდთან ერთად გაევლოთ შეკრების დასკვნითი ნაწილი.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ ფეხბურთი

# კობახიძე ევროპის ლიგაზე ათამაშეს, გრიგალავა 1/16-ფინალშია

**საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა სანდრო კობახიძემ დიდი ხნის პაუზის შემდეგ დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა.**

უკრაინულ კლუბს უეფას ევროპის ლიგის 1/16-ფინალში თამაში განაღდებული აქვს და ამიტომ ჯგუფური ეტაპის მე-5 ტურში რუმინულ „პანდურიისთან“ საშინაო მატჩში „დნიპროს“ თავკაცმა ხუანდე რამოსმა იმ ფეხბურთელებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, რომლებიც სასტარტოში ვერ ხვდებიან.

დნეპროპეტროვსკელებმა 4:1 გაიმარჯვეს, ხოლო კობახიძემ მოედანზე 90 წუთი დაჰყო და მასპინძლებმა ანგარიში მის მიერ წამოწყებული კომბინაციის შემდეგ გახსნეს. ჯაბა კანკავა „დნიპროს“ თადარიგში იყო, მაგრამ თამაში არ მოუწია.

ევროპის ლიგის 1/16-ფინალში ითამაშებს მახაჩყალის „ანჟი“, რომლის ღირსებასაც გია გრიგალავა იცავს. ბოლოსწინა ტურში მახაჩყალელებმა თავის მოედანზე ტირასპოლის „შერიფთან“ 1:1 ითამაშეს და მე-2 ადგილზე ისე დამკვიდრდნენ, მეტოქეები ვეღარ დაეწევიან. ქართველმა მცველმა მოლდოველებთან, რომელთა სპორტული დირექტორი ვაჟა თარხნიშვილია, შეუცვლელად ითამაშა.

**გიორგი ზოთაძე**

◎ კალათბურთი

# სანაძის 7 ქულა და მე-7 მოგება ფლორიდაში

**ფლორიდულ ესტეროში დასრულდა სამდღიანი მინიტურნირი „გალფ ქოსთ შოუქეისი“, რომელშიც დუდა სანაძის გუნდმა „სან დიეგო ტორეროსმაც“ ითამაშა და მე-5 ადგილი დაიკავა.**

კალიფორნიელებმა აღნიშნულ შეჯიბრებაში 4-დან 3 შეხვედრა მოიგეს, მთლიანობაში კი საუნივერსიტეტო ჩემპიონატის ფარგლებში 7 მოგება და 1 მარცხი გააჩნიათ.

ესტეროს ტურნირის უკანასკნელ მატჩში „სან დიეგომ“ სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტის გუნდი 59:56 დაამარცხა.

დუდა სასტარტო შემადგენლობაში იყო და 33 წუთში 7 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ქართველმა უკანახაზელმა 4-დან 1 ორქულიანი, 6-დან 1 სამქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

მომდევნო მატჩს „ტორეროსი“ 1 დეკემბრის დილას ნიუ მექსიკოს ქალაქ ალბუკერკში ადგილობრივ „ლობოსთან“ გამართავს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ რჩეულნი

# რაფა საუკეთესო ესპანელია

**მსოფლიო რეიტინგსიის პირველ ნომერ რაფა ნადალს ესპანეთის ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენისთვის განკუთვნილი თასი გადაეცა. პრიზის გადაცემის ცერემონიალი პოპულარული პირნეული გამოცემა „მარკას“ დაარსების 75 წლის იუბილეს დაამთხვიეს.**

სადიდსლემო ტურნირების 13-გზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ნადალმა ლეგენდარულ ველოსიპედისტ მიგელ ინდურაინსა და კალათბურთელ პაუ გასოლს გაასწრო, რომელთაც შესაბამისად მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს.

„მარკას“ იუბილესა და დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები დაესწრნენ, ესპანელ ჩოგბურთელთაგან კი რაფას გარდა ლილი ალვარესი, კონჩიტა მარტინესი, მანუელ ორანტესი, არანტა სანჩეს-ვიკარიო და მანუელ სანტანა გამოარჩიეს.

ფეხბურთელებს რაც შეეხება, ნომინანტებს შორის შემდეგი ლეგენდარული მოთამაშეები და მწვრთნელები დაასახელეს: კარლოს სანტილიანა, ლუის არაგონესი, ლუის მიგელ არკონადა, ვისენტე დელ ბოსკე, ხოსე ანტონიო კამაჩო, ენრიკე კასტრო კინი, ხოსე გარატე, ფრანსისკო ჰენტო, რაულ გონსალეს ბლანკო, პეპ გვარდიოლა, ჩავი ერნანდესი, ფერნანდო იერო, ანდრეს ინიესტა, ხოსე ანხელ ირიბარი, ხოსე მარტინეს პირი, მიგელ მუნიოსი, ემილიო ბუტრაგენიო, ანტონი რამალიეტსი, აბელარდო როდრიგესი, სესარ როდრიგესი, ალფრედო დი სტეფანო, ლუის სუარესი, ფერნანდო ტორესი, დავიდ ვილია, ანხელ მარია ვილიარი, რიკარდო ზამორა, ტელმო ზარა.

**ბეჟან დოლიძე**

◎ ავტოსპორტი

# „მერსედესმა“ როს ბრაუნის წასვლა დაადასტურა

**როგორც მოსალოდნელი იყო, „მერსედესმა“ დაადასტურა, რომ მისი გუნდის შეფი როს ბრაუნი თანამდებობას ტოვებს. ბრეკლიში (ბრიტანეთი) ბაზირებული გერმანული გუნდის ინფორმაციით, 58 წლის ბრაუნი ოფიციალურად სამქიმიანებს წლის ბოლო დღეს დაშორდება. მის ნაცვლად გუნდს ტოტო ვოლფი და პადი ლოუ გაუძღვებიან. ორივე ალმასრულებელი დირექტორი გახდება, ოღონდ ვოლფი ბიზნესის საქმეებს ჩაიბარებს, ლოუს ხელში კი ტექნიკური მხარე დარჩება.**

„მერსედესის“ თავმჯდომარე ნიკი ლაუდა ამბობს, რომ ბრაუნთან ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა და მას დარჩენას სთავაზობდა, მაგრამ ბრიტანელმა თავად ისურვა წასვლა. „ფაქტია, რომ როცა ადამიანს რაღაც აქვს გადაწყვეტილი, საპირისპირო ნაბიჯს ვერ გადაადგმევინებ“, — ამბობს ლაუდა. გავრცელებული ინფორმაციით, ბრაუნთან დარჩენაზე მოლაპარაკებას გუნდის ძირითადი სპონსორებიც აწარმოებდნენ.

ჯერჯერობით უცნობია, რას აპირებს ბრაუნი, ვის ხელშიც მიხაელ შუმახერმა თავისი შვიდიგე ტიტული მოიპოვა. გავრცელებული ინფორმაციით, ბრიტანელი რამდენიმე თვეს დაისვენებს, რის შემდეგაც „ჰონდას“ ფ1-ის ძრავების პროექტს შეუერთდება. როგორც ცნობილია, ის „ჰონდას“ ფ1-ის გუნდის ხელმძღვანელი იყო, როცა იაპონურმა კომპანიამ წასვლა გადაწყვიტა. მაშინ გუნდი ბრაუნს და ტექნიკურ მენეჯერ ნიკ ფრაის დარჩა, სახელად კი „ბრაუნი“ ეწოდა. რაც მთავარია, „ჰონდას“ მიერ დატოვებული მანქანით ჯენსონ ბატონმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ფორმულა ერთში რეგლამენტის შეცვლის შემდეგ, რაც ტურბოძრავების დაბრუნებას ითვალისწინებს, იაპონურმა კომპანიამ მსოფლიო ჩემპიონატზე დაბრუნება გადაწყვიტა, ოღონდ ამჯერად ძრავების მწარმოებლის რანგში. მისი პარტნიორი 2015 წლიდან „მაკლარენი“ გახდება. არც ისაა გამორიცხული, რომ ბრაუნმა „ფერარიში“ დაბრუნება გადაწყვიტოს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ ინტერნეტიდან

# ტომი ჰაასის დაუოკებელი ცოლი

**გერმანელ ჩოგბურთელს ტომი ჰაასს ამას წინათ საავადმყოფოში მოუწია დაწოლა. ექიმებათან საქმე ვის არ ჰქონია და წესით ეს ამბავი დიდი განსჯის საგანი არ უნდა გამხდარიყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ტომის ავად გახდომის მიზეზი, არც მეტი, არც ნაკლები, სექსუალური გადაღლილობა ყოფილა.**

ჩოგბურთელის ცოლმა, ცნობილმა მსახიობმა სარა ფოსტერმა აღიარა, რომ ქმართან სექსი გაცხოველებულ ტემპებში აქვს და როდესაც თავისუფალ დროს ნახულობს, ბევრს არ ფიქრობს და მსწრაფლივ სექსუალურ იერიშზე გადადის. აქედან გამომდინარე, რთული ასახსნელი არც ტომი ჰაასის ავად გახდომის მიზეზები უნდა იყოს.

სერიალების მოყვარულებმა ალბათ კარგად იციან სარა ფოსტერის სახელი. სარა არაერთი ცნობილი ევროპული მრავალსერიიანი ფილმის მსახიობია და მონაწილეობა ჰიტად ქცეულ ფილმებშიც აქვს მიღებული. ჰაასის ცოლობა კი, როგორც ჩანს, მისი ყველაზე საპასუხისმგებლო და რთული როლია.

**ნატა ნიბლაძე**

## თამაზ ებანოიძის გახსენება

# კაცი, რომელიც დაგვაკლდა...

ერთი-ორი დღე რომ გაეცდინა და არ მოსულიყო რედაქციაში, უმალ ვგრძნობდით უმისობას, გაზეთსაც დაეტყობოდა ხოლმე მისი მასალების სინაკლულე... „საქართველოს რესპუბლიკის“ ჭირი თუ ლხინი, მისიც იყო... ჩვენი გაზეთი სწამდა, ჩვენს გაზეთს ერთგულებდა... და გაზეთიც სიამოვნებით ბეჭდავდა **თამაზ ებანოიძის** ნიჭიერებით სავსე სტატიებს თუ აქტუალურ ინტერვიუებს განათლების საკითხებზე, ჩანახატებს სახელოვან მეცნიერებზე, მისი ნიჭის კიდევ ერთ ნასხლეტს — ლექსად თქმულ სხარტ იუმორისტულ „წკეპლიკებს“ ჩვენი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე... უგანათლებულესი კაცი, მათემატიკის დოქტორი, რომელსაც ასე შეჰყვარებოდა ქართული სიტყვა, თითქოს „ხიდი“ იყო ჩვენს რედაქციასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შორის, იქ წამოჭრილი ყოველი თემა და საკითხი, ამ რვა ათეულ წელს გადაცილებული კაცის ოპერატიული გარჯის წყალობით, მეორე დღესვე „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე შუქდებოდა...

ო, როგორ ვერ იტანდა, როდესაც პრესაში (ჩვენთან თუ სხვაგან) შემთხვევით „გაპარულ“ უხერხულ ფრაზას შეამჩნევდა. ქართული ენის სიწმინდის დაცვა მისი ცხოვრების მიზანი გამხდარიყო...

და დამთავრდა ცხოვრება ერთი კარგი ქართველისა... დააკლდა იგი თავის საყვარელ საქმეს — ჟურნალისტობას, მწერლობას, დაგვაკლდა ჩვენ — კოლეგებსა და მეგობრებს, დააკლდა, რაღა თქმა უნდა, ოჯახს, ცოლ-შვილს, შვილიშვილებს...

აი, 40 დღეც გასულა, თამაზ! შენ უკვე ზეციურ საქართველოში ხარ — შენს უახლოეს ადამიანებთან, უამრავ მეგობართან...

გიგონებთ, და აქვე ვბეჭდავთ შენს ერთ-ერთ ლექსს, რომელიც სარედაქციო არქივს შემორჩა:

**ცის ტატნობზე მზეა, ოქროდ შენაფერი,**
**თეთრი თოვლი მიწის ვერცხლის საფარია,**
**ზღაპარია, ზღაპარია ყველაფერი,**
**ეჰ, მართლაც რომ ნაირფერი ზღაპარია.**
**ვაი, რომ ვერ შემიცვნია ვერაფერი:**
**ვერცა თავსხმა, ვერც ქარბუქი, ვერც ნამქერი,**
**ცხოვრების გზის ჩამბჟუტვია ლამპარი და**
**წლები როგორ უსინდისოდ გამპარვია...**

თურმე, რა სევდიანი დადიოდი, ჩვენო თამაზ, თურმე, უკვე გრძნობდი სიკვდილის მოახლოებას.

ნათელში იყავ, ჩვენო მეგობარო!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

## სანთელი

# კახა მაზმიშვილი

იგი სიონიდან გამოასვენეს...

ასე გამოხატა ერმა და ბერმა მადლიერება ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული იმ მედიკოსისადმი, რომლის მიერ უზადოდ გაკეთებულმა ყბა-სახის ურთულესმა ქირურგიულმა ოპერაციებმა არაერთ თანამემამულეს მოჰგვარა შვება.

**კახა მაზმიშვილის** ცხოვრებამ სამეგობროში გამარჯვებული სიყვარულის სადღეგრძელო დაამკვიდრა. დაგვეთანხმებით, ეს ფაქტიც მრავლისმეტყველია.

ვისაც მის ოჯახთან ახლობლობის პატივი გვხვდა წილად, არც გაგვკვირვებია, ზნეკეთილ პიროვნებად რომ ჩამოყალიბდა — მიხეილ მაზმიშვილთან და ციცი მაჭავარიანთან ნათელმირონობა ხომ თვით გოგი ცაბაძეს აკავშირებდა.

ბრალი მისი, ვინც ჩვენი „სასტავიდან“ უკანასკნელი წავაო — ხშირად უთქვამს საძმოს გამორჩეულ წევრს. ალბათ, ბედის ირონიაა, რომ იგი პირველი დაგვემშვიდობა.

10 ოქტომბერს კახასთვის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე უნდა მიგველოცა. სამწუხაროა, რომ ერთი წლის წინათ იგი უკვდავების ბინადარი გახდა.

**მეგობრები**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება თანაუგრძნობს აკადემიკოს რომან შაქარიშვილს მეუღლის**

**მანანა სარიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის 1968 წლის გამოშვების მე-4 ჯგუფელები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაჯგუფელის, თავიანთი სათნო მეგობრის, დიდი ოჯახის შვილისა და დიდი ოჯახის დედის**

**მანანა სარიშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ აკადემიკოს რომან შაქარიშვილს მეუღლის**

**მანანა სარიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული ქალბატონი**

**მანანა სარიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს, ბატონ რომან შაქარიშვილს.**

---

**საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი, კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა თანაგრძნობას უცხადებს აკადემიკოს რომან შაქარიშვილს მეუღლის**

**მანანა სარიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**რუსთაველის თეატრალური საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა პრეზიდიუმის წევრის, პარლამენტის დეპუტატის ნუკრი ქანთარიას**

**დედა**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს თეატრალური საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი**

**თამაზ გოლაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**კოლეგები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი იურისტი**

**შოთა იპოლიტეს ძე ბუხაიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

## ◎ ინფორმაცია

### კინოთეატრ „აპოლოს“, შესაძლოა, ძველი ფუნქცია დაუბრუნდეს

**როგორ მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყების წინ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე მისი უწყება აქტიურად მუშაობს შენობის მესაკუთრეებთან.**

**— გვინდა, რომ „აპოლო“ ამოქმედდეს ისე, როგორც იყო წინათ. „აპოლო“ განსაკუთრებული კინოთეატრი იყო. თავად ნაგებობა იშვიათია და მისი მსგავსი არის მხოლოდ მსოფლიოს ოთხ ქალაქში. მას აქვს თავისი ისტორია და თბილისში ის მდებარეობდა ერთ-ერთ ეგზოტიკურ და შესანიშნავ ადგილას. სამწუხაროდ, 10-15 წლის წინ „აპოლო„ გაყიდული იქნა. ის ძეგლია და ბუნებრივია, მას ვპატრონობთ, მაგრამ ის მაინც არის გასხვისებული. გადავწყვიტეთ, რომ ის ამუშავდეს იმ ფუნქციით, რითაც იყო ცნობილი, რამდენჯერმე შევხვდი ინვესტორებს. ისინი ძალიან კეთილგანწყობილები არიან და არსებობს იმედი, რომ „აპოლო“ ამუშავდეს იმ ფუნქციით, რითაც ცნობილი იყო, — განაცხადა კულტურის მინისტრმა.**

### განხილულია 50-მდე პატიმრის საქმე

**პატიმართა შეწყალების კომისიის ახალმა შემადგენლობამ ამ დროისთვის 50-მდე საქმე განიხილა, თუმცა კომისიის სამუშაო შეხვედრა პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში გრძელდება.**

**როგორც ჟურნალისტებს შეწყალების კომისიის ერთ-ერთმა წევრმა თეა გოგოტიშვილმა განაცხადა, კომისიამ პატიმრების საქმეების განხილვა დაიწყო. ვინაიდან ბევრი საქმეა დაგროვილი, კომისია რეგულარულ რეჟიმში იმუშავებს. კომისიის წევრები მხოლოდ მოკლე ანოტაციით არ ეცნობიან და საქმეებს დეტალურად განიხილავენ.**

**საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და პრეზიდენტისთვის შესაწყალებელ პირთა სიის წარდგენამდე, შეწყალების კომისია სამუშაო შეხვედრებს მომავალ კვირაში რეგულარულად გამართავს.**

### არდადეგები საბავშვო ბაღებში

**თბილისის საბავშვო ბაღებში არდადეგები სკოლის არდადეგების შესაბამისად 24 დეკემბრიდან 20 იანვრამდე გამოცხადდება. როგორც საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოს ხელძღვანელმა რამაზ სულამანიძემ განაცხადა, სააგენტო სკოლებში არდადეგების გამოცხადების თაობაზე განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას ელოდება და შესაბამისად, საბავშვო ბაღები აღნიშნული გრაფიკის მიხედვით დაისვენებენ.**

**მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღები განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში არ არის, რამაზ სულამანიძის განცხადებით, ბაღებში დასვენების შესახებ გადაწყვეტილება პირადად მან მერიასთან შეთანხმებით მიიღო.**

**ამასთან, როგორც ცნობილია, გასულ წელს საბავშვო ბაღებში საახალწლოდ დასვენება მხოლოდ 1-2 იანვარს გამოცხადდა. რატომ ცხადდება წელს საბავშვო ბაღებში დაახლოებით ერთთვიანი არდადეგები რამაზ სულამანიძე ვერ ასაბუთებს, თუმცა, ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი აღნიშნულს ბაღებში გადასახადის გაუქმებას არ უკავშირებს.**

**მეუღლე ნინო, შვილი სალომე, ძმა ავთანდილი, დები დარეჯანი, გულიკო, რძლები თამრიკო, ნანა, სიძეები ნოდარ ჭელიძე, ვახტანგ წიკლაური, ძმისწულები ნოდარი, ლევანი, დისწულები გვანცა, ნინი, სიდედრი ლამარა, ცოლისდები შუქურა, ლალი ოჯახებით, ახლო ნათესავები, მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 55 წლისა გარდაიცვალა**

**ელგუჯა ნოდარის ძე სილაგაძე**

**პანაშვიდი 30 XI, 17 სთ. მისამართი: ირ. აბაშიძის 81 (ვაკის პარკთან). გამოსვენება 1 XII, 14 სთ. საბურთალოს ამაღლების (გაზდელიანის) ეკლესიიდან.**

**თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძეს ძმის**

**ელგუჯა სილაგაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**რეკლამა**

**„საქართველოს რესპუბლიკაში“**

**299-62-77;**
**599 32-85-76.**

## ◎ ინფორმაცია

### ჩხოროწყუს რაიონში 15 წლის მოზარდს ეძებენ

**ზოთიკო წურწუმია რამდენიმე დღის წინ გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. სამძებრო ღონისძიებებს აწარმოებენ როგორც ჩხოროწყუს, ასევე სენაკისა და მარტვილის პოლიცია.**

ინტერპრესი

◎ ისტორია ზუსტი მეცნიერებაა

# იცოდით, მაგრამ შეგახსენებთ...

● პირველ ნაბეჭდ წიგნად ითვლება მაინცელი (გერმანია) **იოჰან გუტენბერგის** მიერ 1452 წელს გამოცემული 42-სტრიქონიანი ბიბლია, რომელიც „გუტენბერგის ბიბლიად“ იწოდება.

● პირველი ნაბეჭდი ბიულეტენი, რომელსაც **„ავიზი“** ერქვა (იტალიურად „ცნობებს“ ნიშნავს) და ერთი გაცეტა ღირდა 1493 წელს გამოვიდა.



● მკვლევარებმა პირველ ჟურნალისტად მიიჩნიეს იტალიელი **პიეტრო არეტინო** (1492-1556 წ.წ.), რომლის 3 ათასზე მეტი წერილი 6 ტომშია გაერთიანებული და ჯერ კიდევ ცალკე წიგნებად მის სიცოცხლეშივე გამოდიოდა.

● პირველი ნაბეჭდი გაზეთი მთელ ამიერკავკასიაში (1819 წლის 21 მარტს გამოვიდა ქართულ ენაზე. **„საქართველოს გაზეთის“** გამოცემით სათავე დაედო ქართულ ჟურნალისტიკას.

● პირველ ქართულ ფერად, კომპიუტერული წესით გამოცემულ გაზეთად ითვლება 1989 წელს გამოცემული **„ნატვრისთვალი“.** ხოლო პირველი დამოუკიდებელი ფერადი (კომპიუტერული წესით) გამოცემული ჟურნალია 1990 წელს გამოსული „კალთა“.



● პირველ კერძო ქართულ ჟურნალად ითვლება **„ცისკარი“.** ყოველთვიური ჟურნალი გიორგი ერისთავის რედაქტორობით და მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის ხელშეწყობით 1852 წელს გამოიცა.

● მსოფლიოში პირველი რადიოსამაუწყებლო სადგური ამერიკაში 1903 წელს ამუშავდა **რეჯინალდ ფესენდერის** ინიციატივით. 1916 წლიდან კი მთელ მსოფლიოში დაიწყო რადიოს ბუმი.

● 1936 წელს ამერიკაში რუსი ემიგრანტის **ვლადიმირ ზვორიკინის** ხელმძღვანელობით პირველი ელექტრონული ტელევიზორი შეიქმნა. 1937 წლიდან ლენინგრადში, ხოლო 1938 წლიდან მოსკოვში ელექტრონული ტელემაუწყებლობა გაჩნდა. საქართველოში ტელევიზია 1956 წელს ჩამოყალიბდა.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

## ვაკეთინაკ ვარსკვლავთან

### „ძართულმა ოცნებამ“ ნახევარი მილიონი მხარდამჭერი დაკარგა“

— ამბობს ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი, — მე ადრე მითქვამს და ახლაც გავიმეორებ ამას, რომ მე ფაქტობრივად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ პოლიტიკურ ძალთა განლაგება, ერთი წლის შემდეგ იქნება ისეთი, რომ ნამდვილად დადგება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების საკითხი. ძალიან გონივრული იქნება, თუკი მომავალ შემოდგომაზე ეს არჩევნები დაინიშნება და მმართველი გუნდი არ ჩაებღაუჭება ხელისუფლებას, რადგან, ჩემი ვარაუდით, ის ნათლად დაინახავს, რომ ამის აუცილებლობა არ არის, ვინაიდან მათი მხარდამჭერთა რაოდენობა არა თუ 60, ან 50 პროცენტი, არამედ 40 პროცენტიც აღარ იქნება. აღარაფერს ვამბობ ნაციონალურ მოძრაობაზე, რომელიც 10 პროცენტიც არ იქნება და ის ძალთა ბალანსი, რომელიც დღეს წარმოდგენილია პარლამენტში, დაახლოებით სამოცი ორმოცზე, სრულიად არაადეკვატური იქნება იმ პოლიტიკური ვითარებისათვის, რომელიც შეიქმნება განვლილი წლის შემოდგომაზე.

**„ახალი თაობა“**

### საქართველო კეზერაშვილის ექსტრადირებას ითხოვს

თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის ექსტრადაციისთვის საჭირო დოკუმენტი ფრანგული მხარისთვის უკვე გადაგზავნილია. როგორც მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის უფროსმა ხათუნა პაიჭაძემ განაცხადა: „დოკუმენტები საფრანგეთისთვის კარგა ხნის გადაგზავნილია. ეს მოხდა მაშინვე, როგორც კი საჭირო დოკუმენტაციის ფრანგულ ენაზე თარგმნა დასრულდა. ახლა ქართული მხარე საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინშია.“

**„რეზონანსი“**

### „რადარები მალე მთელი ძვეყნის მასშტაბით დამონტაჟდება“

— ამბობს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ლევან მაჭავარიანი, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, თბილისში, იქ, სადაც რადარები დამონტაჟდა, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობამ 80 პროცენტით იკლო. საგულისხმოა, რომ დაღუპულთა რაოდენობაც 85 პროცენტით შემცირდა. მაგალითად, შარშან ამ პერიოდში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, 39 ადამიანი დაიღუპა, წელს კი მხოლოდ 6, ხოლო 2013 წლის ნოემბერში მსხვერპლი საერთოდ არ ფიქსირდება. ეს მონაცემები ნათლად მეტყველებს, რომ პროგრამა წარმატებული აღმოჩნდა“.

**„ვერსია“**

### სექსუალური ხასიათის ძცევაზე 200 ლარამდე ჯარიმაა

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებები, რომელიც პარლამენტმა მესამე მოსმენით უკვე მიიღო, საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება, რაც გამოიხატება საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების აშკარა უპატივცემულობაში და იწვევს ადამიანის დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს შექმნას (სექსუალური ხასიათის ქცევა, სრული ან ნაწილობრივი უხამსი გაშიშვლება, საზოგადოებრივ ადგილებში ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება) გამოიწვევს დაჯარიმებას 100-დან 200 ლარამდე.

**„ალია“**

◎ სათრეველები

### გაფრთხილება

ცხენს ვერაფერი დააკლეს და უნაგირი დაამტვრიესო, — ნათქვამია. ეტყობა ნაციონალებმა „ჯიბის ტელევიზიები“ და ინტერნეტსივრცე ამიტომ აავსეს იმერეთის ულამაზესი სოფლის — ჭორვილას ლანძღვა-გინებით.

— ვინ რატომ გაგაჭორვინათ,
ენა ვინ გაასარსალა?
ნუ გახდა ჩვენი ჭორვილა
თქვენს საქილიკო მასალად! —
იმიერიდან გაფრთხილებთ
ძმები — ჯურხა და ასანა!

### შოუმენი

ის ვერც პოლიკარპეობს
და ვერც ბერნანდ შოუობს,
მაგრამ მოსწონს შოუ „ლობს“
და პურის ფულს შოულობს!

### წკვარამი და ვარამი

„შოკური თერაპია“ სასწაულთმოქმედი წამალია, მაგრამ მომაკვდინებელი შხამია, თუკი ხალხის დასათრგუნად ისევე გამოიყენება, როგორც ზოგიერთ ტელეპროგრამაში.

„კურიერში“ წკვარამია,
სიმართლე კი სხვა რამეა,
თუ სახადად გვარამიას
„ნაცი-ბაცის“ ვარამი აქვს.
ამბავს „მიშავიზიისა“
განა მხოლოდ სხვათა შორის,
სიმართლიდან ძალზე შორი,
სერიალის სუნი შმორით
უზნეობად აშლის ვნებას
და იწყება ბიძიების
„ჯიბის ტელევიზიებით“,
თავს ვინც იხრჩობს, —
მისი თოკით,
მკვლელობებით,
ძარცვით, შოკით
მაყურებლის დაშინება.

### არა ცილ სწამო!

რომ ექცია „ნაცები“
ნამდვილ არაკაცებად,
დაიწყო გატაცებით
ორდენების გაცემა...
ნაღმი უკვე ბევრი დევს
წინ რომ გვიდევს, იმ ხიდზე,
შინაურ მტერს ერიდე,
საქართველოვ, იფხიზლე!

### შანსი

აბურდვად და აბრუნდებად
უკვე ვეღარ დაბრუნდება
და დრომ რადგან გადახვეტა,
სამომავლოდ ერთ გზას
ვხედავ:
საგანგებო ნიშაში და
„სვეტაფორის“ ნიშანშია,
რომ დღეს „დეპო“ ის შანსია,
რაც საკუთრივ მიშასია!

**ალექსანდრე შენგელია**

რედაქცია „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— რა შესანიშნავი წყვილია ჩვენი ახალი მეზობელი ცოლ-ქმარი: ქმარი სულ ეფერება ცოლს, იხუტებს და კოცნის მას, საალერსო სიტყვებს ეჩურჩულება, შენ რატომ არ იქცევი ასე? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— მე რა შუაში ვარ? არც კი ვიცნობ მეზობლის ცოლს.

* * *

ღამის სამი საათია. უცებ მეზობელი ჩემს კარებს მუშტს უბრახუნებს! ისე შემეშინდა, რომ ბურღი კიბაღამ ხელიდან გამივარდა...

* * *

— მითხარით, როგორ მიხვდით, რომ თქვენს ბინაში ვიღაცა უცხო იყო?

— ჩვენს ოჯახში მიღებული არ არის, რომ ვიღაც უკნიდან მომეპაროს და თავში სკამი ჩამცხოს.

* * *

— თუ არ მოგწონთ ის ადგილი, სადაც იმყოფებით, გამოიცვალეთ იგი, ხე ხომ არა ხართ?

— ბიძაჩემმა სცადა ადგილის გამოცვლა და ამისთვის სამი წელი დაუმატეს.

* * *

— რა ღირს ეს ქსოვილი? — ეკითხება ახალგაზრდა ლამაზი გოგო მაღაზიის ასაკოვან გამყიდველ მამაკაცს.

— არცთუ ისე ძვირი, ერთი მეტრი — ერთი კოცნა.

— მართლაც იაფი ყოფილა. ათ მეტრს ავიღებ. აი, ჩემი მისამართი, საფასურს ბებიაჩემი გადაიხდის.

* * *

დიალოგი ბოლო სართულზე ლიფტში:

— ქვევით?

— არა, გვერდით!

* * *

— მარწყვისგემოიანი პრეზერვატივები გაქვთ? — კითხულობს ტიპი აფთიაქში.

— გვაქვს.

— ბანანისა?

— კი.

— ანანასისა?

— ესეც გვაქვს.

— ახალგაზრდავ, ქალთან ურთიერთობისთვის გინდათ ეს პრეზერვატივები თუ კომპოტის მოსახარშად?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსაკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24